

# ZE GAVLENA

ISSN 2667-9728 (Online)

RAV • art review 15.2025





# შეგვიერთდით

ჩვენთან ერთად 15. 2025

--- კრთქმსთის ქალაქი - ხელმძღვანელი, როგორც წინააღმდეგობა ---



# შინაარსი content

## REACH PRESENTS 4

### კულტურისა და ვიზუალური ხელოვნების გაერთიანებული ძალა

- კულტურა დემოკრატიისთვის 5
- არქიტექტორები სოლიდარობისთვის 7

## REACH PRESENTS 8

### UNITED POWER OF CULTURE & VISUAL ART PROFESSIONALS

- Culture for Democracy 9
- Architects Society of Georgia 11

## REACH PRESENTS 12

### ღამოუკირებადი ანთისები, გაღივსები და კულტურის პროფესიონალები პროტესტის ძარის შესახებ

- გიორგი მაისურაძე 13
- ქეთევან (ქეთი) შავგულიძე 14
- ელენე ფასური 16
- თაონა გოგიჩაიშვილი 18
- ლალი პერტენავა 20

## REACH PRESENTS 22

### INDEPENDENT ARTISTS, GALLERISTS AND CULTURE PROFESSIONALS ABOUT POWER OF PROTEST

- Giorgi Maisuradze 23
- Ketevan (Keti) Shavgulidze 24
- Elene Pasuri 25
- Teona Gogichaishvili 27
- Lali Pertenava 29

## REACH PRESENTS 31

### გამოწვევა

- FEARLESS - ხელოვნების ბაზრობა 32
- წინააღმდეგობის მუზა-უმი 34
- პროტესტის პარალელურად CLOSED 37
- WINDOW PROJECT - SOS 39
- პრევენციული კონსერვაცია 40
- შემთხვევის ადგილი 41
- პროტესტის ლექსიკონი 42

## REACH PRESENTS 43

### EXHIBITIONS

- FEARLESS - Emergency Art Fear Muse(um) of Resistance 44
- Parallel to the Protest 49
- CLOSED 51
- WINDOW PROJECT - SOS 52

- Preventive conservation 53
- A Scene of an Incident 54
- The Dictionary of protest 55

## REACH PRESENTS 56

### ისტორიული დისკურსი

- ხელოვნება და პროტესტი 57
- INDIGO 58
- მშვიდობის სახელით: საქართველოს არჩევნების შემდგომი კრიზისი და მასობრივი საპროტესტო აქციები e-flux notes - თამთა ხალვაში და ლუკა ნახუცრიშვილი 59

## REACH PRESENTS 64

### HISTORICAL DISCOURSE

- Art & Protest 65
- INDIGO 66
- In the Name of Peace: Georgia's Postelection Crisis and Current Mass Protests - e-flux notes - Tamta Khalvashi and Luka Nakhutsrishvili 67

## REACH PRESENTS 68

### ხელოვნებათმცოდნის ბლოგი

- “ამბობი - თქვა მან!” - ამბობის თეორიული საფუძვლები და სახელოვნებო პარალელები - მარიამ შერგელაშვილი 68

## REACH PRESENTS 73

### BLOG BY ART HISTORIAN

- “REVOLT, SHE SAID” - Overviewing Critical and Theoretical Aspects of REVOLT - Mariam Shergelashvil 73

## REACH PRESENTS 77

### IN FRONT OF BARRICADES - PHOTO DOCUMENTARY SELECTION

- უბ გაბერი EZZ GABER 78
- თბილისის ფოტოგრაფიის და მულტიმედია მუზეუმი 84
- Tbilisi Photography and Multimedia Museum
- Art Conference Tbilisi 88
- “გეგავლენას” გუნდი ZEGAVLENA team 90
- პუბლიკა Publika 96
- რადიო თავისუფლება Radio Tavisupleba 97

## REACH PRESENTS 100

### პროტესტი და შემოქმედებითი ჩაფიქსია

- ხელოვნების სხვადასხვა ფორმა 101

## REACH PRESENTS 100

### PROTEST & CREATIVE REFLECTIONS:

- Various forms of Artworks 101





კუდჭუნისა  
და ვიზუაღუნი  
ხეღოვნეების  
გაერთიანეაბუდი

ქაღა



#კულტურადემოკრატიისთვის



კულტურა დემოკრატიისთვის  
CULTURE FOR DEMOCRACY



ანიტაჟი შანი ხმა

# კულტურა დემოკრატიისთვის



საქართველოს 30-წლიანი დემოკრატიზაციის პროცესი კრიზისშია, რაც, უპირველესად, დემოკრატიული კულტურული ღირებულებების კრიზისს ნიშნავს. სახელმწიფოს არ განუხორციელებია კულტურის საბაზოთა სისტემის რეფორმირება და დღეს ვიმკით შედეგებს: ძლიერდება ავტორიტარიზმი, რაც საქართველოს აშორებს თანამედროვე სამყაროში ყველაზე ჰუმანურ და პროგრესულ კულტურულ გარემოს – ევროპას. არადემოკრატიული ხელისუფლება მანიპულირებს საზოგადოებით, რომლის დიდ უმრავლესობას მრავალი წელია წართმეული აქვს კულტურული განვითარების შესაძლებლობა და ამიტომ სუსტია, როგორც სამოქალაქო საზოგადოება.

თანამედროვე საქართველოში ყოველდღიურად ნადგურდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, წყდება საერთაშორისო სივრცეებთან კომუნიკაციის პროცესები, უხეშად იზღუდება ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და ირღვევა სიტყვის, გამოხატვის, აკადემიური და შემოქმედების თავისუფლება. ყოველივე ეს დიდ საფრთხეს უქმნის ეროვნული დემოკრატიული კულტურის შენარჩუნებას, შექმნას და განვითარებას.



#კულტურაცვლილებებისთვის



სოლიდარობა რაყაყებულოებს!

**გაიჟიხე!**



ჩვენ, კულტურის სფეროს წარმომადგენლები, ვაცნობიერებთ კულტურის როლს სახელმწიფოს წარსულისა და მომავლის დაცვის პროცესში, კულტურის მნიშვნელობას საზოგადოებისა და ყოველი მოქალაქის გაძლიერების თვალსაზრისით; ვგრძნობთ პასუხისმგებლობას, არ დავთმობთ ჩვენი კულტურული იდენტობა და პროგრესის შესაძლებლობა.

ჩვენ ვერთიანდებით ინიციატივაში “კულტურა დემოკრატიისთვის” და ამით ვაერთიანებთ ჩვენს თეორიულსა და პრაქტიკულ გამოცდილებას. ჩვენმა ინიციატივამ კულტურული კრიზისის დაძლევის მიზნით, 2024 წლის 19 აგვისტოს წარმოადგინა დოკუმენტი “კულტურის დეკლარაცია”. ამ დეკლარაციამ უნდა ჩაუყაროს საფუძველი კულტურის სფეროს ფუნდამენტურ რეფორმას, რომლის პრინციპებსა და მექანიზმებზე ინტენსიურ მუშაობას ვგეგმავთ 2024-2025 წლებში. “კულტურის დეკლარაცია” უკვე გასაჯაროვდა. მიმდინარეობს ფართო სადისკუსიო პლატფორმის ფორმირება.

[იხ. კულტურის დეკლარაცია](#)

ჩვენ ვერთიანდებით ინიციატივაში “კულტურა დემოკრატიისთვის” არა მხოლოდ კულტურის სფეროს განვითარებისთვის, არამედ სახელმწიფოში პოლიტიკური გარემოს გაჯანსაღებისთვისაც. ჩვენ ვაერთიანებთ ჩვენს სამოქალაქო პასუხისმგებლობასა და ენერგიას ჩვენი სახელმწიფოს საკეთილდღეოდ, საქართველოში დემოკრატიის გადარჩენისთვის და საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის გაგრძელებისთვის.

**ინიციატივა**  
**“კულტურა დემოკრატიისთვის”**  
არის დაფინანსებული აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ და არის დაფინანსებული კროსფონდით.



# სას

საქართველოს  
არქიტექტორთა  
საზოგადოება

#არქიტექტორებისოლიდარობისთვის

# განსჯა

შეძრუნებულები ვართ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით და ძალოვანების მხრიდან მშვიდობიან მოქალაქეებზე თავდასხმის ფაქტებით!

ვგმობთ არალეგიტიმური ხელისუფლების მიერ მოქალაქეების კონსტიტუციური ნების უგულვებელყოფას და გადანყვეტილებას, გადაუხვიოს ევროინტეგრაციის მრავალწლიანი გზიდან!


ვემიჯნებით ნებისმიერ ქმედებას, რომელიც აკნინებს დამოუკიდებელ ინსტიტუციებს და ახშობს პროფესიონალების აზრს!

ჩვენ, საქართველოს არქიტექტორები, ვდგავართ ქართველი ხალხის გვერდით, რომლებიც იცავენ კონსტიტუციით განსაზღვრულ ევროპულ მომავალს!

მოვითხოვთ დაუყონებლივ შეწყდეს ძალადობრივი ქმედებები მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ და გატარდეს ყველა ღონისძიება საქართველოს ევროპულ ორბიტაზე დასაბრუნებლად!

ძალა ერთობაშია!

საქართველოს არქიტექტორთა საზოგადოება  
[www.sas.com.ge](http://www.sas.com.ge)



# კუჩიი ხელის

# შინობა ქალქს



An aerial night photograph of a massive crowd gathered for a festival or concert. The scene is illuminated by a variety of colorful lights, including bright orange and red, blue, green, and white. The crowd is densely packed, filling a large open area. In the background, there are structures and trees, some of which are also lit up. The overall atmosphere is vibrant and energetic.

# United Power of Culture & Visual Art Professionals

*City Scenes Photography*





# CULTURE *for* Democracy


Despite years of progressive development, the democratization process in Georgia finds itself at a critical juncture, highlighting a profound crisis in democratic cultural values within its systems and society. This crisis is rooted in the fact that Georgia's cultural system has not undergone substantial reform since Soviet times.

Consequently, the society is now experiencing the repercussions: the rise of authoritarianism, which increasingly alienates Georgia from the humane and progressive cultural environment of the Western World.

The Georgian government, through various manipulative tactics, has marginalized the majority of the population, depriving them of opportunities for cultural and social development. This has fostered a regressive environment where the daily destruction of cultural heritage monuments, the interruption of communication with international partners, the severe restriction of institutional independence, and the violation of freedom of speech, academic pursuits, and creative expression have become alarmingly prevalent.

These developments pose a significant threat to the preservation, creation, and evolution of a democratic culture and society in Georgia.





კულტურა დემოკრატიისთვის  
CULTURE FOR DEMOCRACY

არ დათმოვთ ჩვენი ჰერყენის ევროპულ მომავალს !  
არ ვითანაუბროვლებთ დაეყრდნობა ლევიტანს !

We won't

GIVE UP OUR EUROPEAN FUTURE!

COOPERATE WITH THE INVADER  
REGIME!

- We recognize that culture plays a pivotal role in safeguarding the past while ensuring the future stability of the state.
- We understand the critical importance of culture in strengthening society and empowering every citizen within it. Thus, we feel a profound responsibility to protect our cultural identity while fostering the potential for progress.
- In response to this cultural crisis, over one hundred representatives from diverse cultural fields have united to form the initiative, "Culture for Democracy". This initiative draws upon our collective theoretical knowledge and practical experience to confront the challenges facing Georgia's cultural landscape.
- To spearhead this effort, we have developed a comprehensive document - the "Declaration of Culture of Georgia". This declaration serves as a blueprint for the fundamental reform of the cultural sector, outlining the principles and mechanisms that we plan to rigorously develop throughout 2024-2025.
- The "Declaration of Culture" has been presented to all national pro-Western political parties and unions, where it has been widely accepted as a guiding document for the initial phase of cultural reform. Building on this foundation, we are committed to collaborating with these entities to sustain and advance democratic processes within the country and further Georgia's integration into the European community.

**THE INITIATIVE IS BASED ON VOLUNTARY CIVIC EFFORTS AND DOES NOT REPRESENT A LEGAL ENTITY OR POLITICAL PARTY.**



# სას

## ARCHITECTS SOCIETY OF GEORGIA Statement

We are appalled by the events unfolding in our country and the violent attacks on peaceful citizens by law enforcement officers.

We strongly condemn the illegitimate government's blatant disregard for the constitutional will of the people and its reckless decision to abandon Georgia's long-standing path toward European integration.

We firmly reject any actions that undermine independent institutions and silence the voices of professionals. We, the architects of Georgia, stand in solidarity with the Georgian people as they defend the European future enshrined in our Constitution.

We demand an immediate cessation of violence against peaceful citizens and call for all necessary measures to restore Georgia to its rightful place in the European orbit.

### Strength in unity!

[www.sas.com.ge](http://www.sas.com.ge)

Architects Society of Georgia



EZZ GABER PHOTOGRAPHY

დამოუკიდებელი  
არტიტები  
გალერისტები და  
კულტურის  
პროფესიონალები  
პროტესტის  
ძაღვის  
შესახებ

*Small Talks*





# გიორგი ბაკურაშვილი



## კორტესტი და საპროტესტო განგოილება

28 ნოემბერს პროტესტი სპონტანურად დაიწყო, როცა ირაკლი კობახიძის განცხადება გავრცელდა, რომ საქართველოს მთავრობა 2028 წლამდე ევროინტეგრაციის პროცესს აჩერებს. ეს იყო ერთგვარი სპაზმური რეაქცია, როდესაც ყოველგვარი წინასწარი დაგეგმვისა და ორგანიზების გარეშე, ათეულობით ათასი ადამიანი აღშფოთების გამოსახატავად სახლებიდან გამოცვივდა. იმავე დამეს დაიწყო მშვიდობიანი დემონსტრანტების დარბევა, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა საპროტესტო ტალღის აზვირთება უკვე არა მხოლოდ თბილისის ცენტრში, არამედ მთელ საქართველოში. ქართულმა ოცნებამ საბოლოოდ ჩამოიხსნა ყველანაირი ნიღაბი და ღიად აჩვენა საკუთარი სახე, არა მხოლოდ ქვეყნის საგარეო კურსის მიმართულებით, არამედ საშინაო კუთხითაც, რომ ის ფაქტობრივად აუქმებს ისედაც არამყარ დემოკრატიას და რეპრესიულ სისტემაზე აგებული ავტორიტარიზმს ამყარებს. საერთაშორისო არაღიარებას და სანქციებს ქართული ოცნება სრულ დემინფორმაციისა და შეთქმულებების თეორიებს უპირისპირებს, რომლის მიხედვითაც ქვეყნის საერთაშორისო იმპლაციაში მოქცევა თავად ოცნების პროპაგანდისტების მიერვე შეთხზულ „გლობალური ომის პარტიისა“ თუ Deep State-ის შეთქმულებაა. მმართველი პარტია ფაქტობრივად გასულია საკონსტიტუციო ჩარჩოებიდან და ხელისუფლების შენარჩუნებას გენოციდითა და ძალადობით ცდილობს. ივანიშვილის რეჟიმის მხრიდან საპროტესტო აქციების დაწყებისთანავე მშვიდობიან დემონსტრანტებზე განხორციელებულმა ძალადობამ და დაკავება-დაპატიმრებებმა მნიშვნელოვანწილად დააჩქარეს საზოგადოებაში მიმდინარე საპროტესტო განწყობა, რომელმაც დაუმორჩილებლობის და ამბოხის სახე მიიღო. საქმე ეხება არა რომელიმე ცალკეულ „რუსულ“ კანონს, რომელიც ქართულმა ოცნებამ ბოლო თვეების განმავლობაში მიიღო, ან თუნდაც გაყალბებულ არჩევნებს, არამედ მთლიანად არსებული რეჟიმის არმიღებას და მისდამი დაუმორჩილებლობას. ესაა უარი ივანიშვილის ოლიგარქიული ავტორიტარიზმს. თუმცა აქ კიდევ უფრო მეტიც ხდება, რასაც საერთო-ეროვნული სხეულის რეგენერაცია, ხელახალი დაბადება შეიძლება ეწოდოს. თავდაპირველი სპონტანურობიდან, ქაოტური მორევებიდან, უსამართლობის, ძალადობისა და გენოციდის პირობებში თანდათანობით სრულიად ახალი საზოგადოება იბადება, თვითორგანიზაციის განსაცვიფრებელი უნარით და სოლიდარობის ფუნდამენტური გრძნობით.

## კრიზისი და სვლილებების საჭიროება

კრიზისი უკვე თავისთავად ნიშნავს, რომ არსებული სისტემა ვეღარ მუშაობს და ჩიხშია შესული. ივანიშვილის მცდელობამ, საქართველოში დიქტატურა დაამყაროს, ქვეყანა იმდენად ღრმა და ყოვლისმომცველ კრიზისში შეიყვანა, რომ აქედან ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ არსებული სისტემის სრული ჩამოშლა და საფუძვლიანი დემონტაჟია, ისეთი, რომ აღარასდროს ავტორიტარიზმი, ოლიგარქია თუ კლექტოკრატია აღარ აღმოცენდეს. ეს შესაძლებელია. ქართულმა ოცნებამ არც თვითონ დაიტოვა უკან დასახევი გზა და არც სხვას დაუტოვა: თუ ოცნება ძალაუფლებას დაკარგავს, რომელსაც ის ამჟამად მხოლოდ ძალადობითა და მასობრივი დემინფორმაციით ინარჩუნებს, მას უკვე იმდენი მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, რომ ამ რეჟიმის გასამართლება გარდაუვალი იქნება. თუ ამბოხებული მოქალაქეები დათმობენ, მათ საკუთარი თავისუფლების, საკუთარი მოქალაქეობრივი უფლებების, საკუთარი ქვეყნის დათმობა მოუწევს, რომელსაც დიქტატურა, როგორც ავთვისებიანი სიმსივნე, სიკვდილამდე, სრულ მოშლა-განადგურებამდე მიიყვანს. ამიტომაც, რეალობა ასეთია: ან ივანიშვილი, ან საქართველო. ეს ორი ცნება ერთად ვეღარასდროს იარსებებს.

## ხელოვნება და აქტივიზმი

თვალში საცემია ამ საპროტესტო აქციებში სახელოვნებო და აკადემიური სფეროს წარმომადგენლების განსაკუთრებული აქტივობა. ამას, ერთი მხრივ, შეიძლება კონკრეტული მიზეზები მოეძებნოს, რაც პირდაპირ უკავშირდება თეა წულუკიანის კულტურის მინისტრობას, რომლის უგუნურმა და დამანგრეველმა საქმიანობამ ისეთი მიანი მიაყენა მთლიანად ქართულ კულტურას, რომ მის გამოსწორებას მრავალი წელი დასჭირდება. ამასთანავე, წულუკიანის რეპრესიული და თვითნებური პოლიტიკა კულტურის სფეროში, ფაქტობრივად, ექსპერიმენტი აღმოჩნდა, რომელიც ქართულმა ოცნებამ მთელ ქვეყანაზე გადაიტანა. მეორე მხრივ, რუსული ყაიდის კანონები, რომლებიც ბოლო თვეებში ოცნებამ მიიღო, პირველ რიგში, კულტურის სფეროს ურტყამს. ქართული სახელოვნებო სფერო, მეცნიერება, უმაღლესი განათლება - მნიშვნელოვანწილად საერთაშორისო დაფინანსებით არსებობს, რომლის გარეშეც ის უბრალოდ ჩამოიშლება. ასევე დაწესებული ცენზურა სწორედ ამ სფეროების წარმომადგენლების დევნა-შევიწროებას, ხელოვნების და აზროვნების დამახინჯებას და გაპრიმიტიულებას ისახავს მიზნად. ამდენად, კულტურის სფეროს წარმომადგენლების აქტივიზმი ლოგიკურიცაა და სწორად გაცნობიერებული ეგზისტენციალური საფრთხის შედეგიც.

სამი სიტყვით თქვენი მესიჯი – სხვა გზა არ გვაქვს!



# ქათი შავზუდიძე

## მოკლე შეფასება: მიმდინარე პროცესის განზომილება

როგორც რიგით მოქალაქეს მხოლოდ ასე შემოიძლია არსებული ვითარება შევამო, რადგან მიმაჩნია რომ ამ პროტესტში ჩვენ ჩვენი პროტესტების მიღმა ვიბრძვით ახალ ველზე. ხელოვანის სხეული, მისი ხმა ხდება თავად პოლიტიკური და ამგვარად გასვლა გვიწევს ჩვენი პერსონალური, პროტესტული ან გენდერული სივრცედანაც კი.. ეს არის ის განზომილება, როდესაც პროტესტი არ ტოვებს იმის საშუალებას რომ ინდივიდუალურ ჭრილში განვიხილოთ მოვლენები. ხელოვნებას ამ პროცესში არის შევიდეთ მდგომარეობაში, რადგან ვითარება არის კრიტიკული - ეს არის სასტიკი რეალობა, რომელიც დგას უსამართლობასა და, ძალადობაზე, სადაც ადამიანის ფუნდამენტური ღირებულებების შეურაცხყოფა ხდება.

ფოტო - დათო შალიკაშვილი



## კრიზისი და ცვლილების საჭიროება

კრიზისი აქ და ახლაა. ამიტომ ვფიქრობ, სანამ გარდაუვალ ცვლილებებზე ვისაუბრებთ, აუცილებელია მდგომარეობის შეფასება. მეორეს მხრივ, დროის სიმცირე ითხოვს სწრაფ, დაუყოვნებლივ რეაგირებას. შესაბამისად, ამ პირობებში თავად წინააღმდეგობა, როგორც პროცესი იძენს უდიდეს ძალას და ამ წინააღმდეგობრივ ბრძოლაში ვლინდება თვითონ ხელოვნებაც, როგორც ფორმა. ამ პროცესს აქვს თავისი განვითარების ეტაპები, გამოვლინების სახეები და ის თავად შემოქმედებითია თავისი არსით.

ბოლო პერიოდში ჩემთვის პასუხებს ხშირად უძველეს ხელოვნებაში ვეძებ, რომელსაც ვაკავშირებ თანამედროვეობასთან და თანადროულ ხელოვნებასთან. მაგალითად, კრიზისი თავისი ეტიმოლოგიით ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს და გადაწყვეტ ფაზაში შესვლას ნიშნავს. გავიხსენებ ასევე ჟან პოლ სარტრის მოსაზრებას, რომლის თანახმად ადამიანი გადაწყვეტილებას ყოველდღიურად იღებს და ეს არის მისი არჩევანი - თუ როგორი იქნება მისი პასუხი რეალობაზე. ამ შემთხვევაშიც ასეა, ეს არის ბრძოლა, რომელშიც ყოველდღიურად ახლიდან იღებ გადაწყვეტილებას, ამდენად ცვლილება არა ფაქტი, არამედ ყოველდღიური პროცესია.

## ხელოვნება/კულტურა და აქტივიზმი

ხელოვანისთვის საკუთარი მე, მისი პერსონა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში კი, ის ძალიან დიდი, უზარმაზარი კოლექტივის ნაწილი ხდება. შემთხვევითი არაა რომ ხელოვნების ის დარგები, რომელიც გუნდურ სამუშაო პროცესს გულისხმობს - მაგ. კინო, თეატრი, პროტესტის ავანგარდში აღმოჩნდნენ და აქტიური პოზიცია აქვთ, ვიდრე ვიზუალურ ხელოვნებს, რომელთა შემოქმედება ხშირად ინდივიდუალურად სახელოსნოში ვითარდება. აქედან გამომდინარე, სიმბოლურია რომ სწორედ თეატრალური უნივერსიტეტი გახდა პროტესტის ერთ-ერთი კრიტიკული კერა. თუმცა როგორც უკვე აღვნიშნე, ყოველი ხელოვანის ხმა და სხეული იძენს ამ პროცესში მნიშვნელობას, რადგან ეს პოლიტიკური ხმა და სხეულია. ამ მხრივ განსაკუთრებულია სამხატვრო აკადემიის სტუდენტების თავისუფალი სახელოსნო, რომელიც ბრძოლის პარალელურად, პროტესტის ახალ ფორმებს ქმნის.

ხელოვნება თავისი არსით კომპლექსური და მრავალმრიანია და ის ძიების პროცესი და ვითხვია, ვიდრე მზა პასუხი. ეს მდგომარეობა ხელოვნების ბევრი ფორმისთვის ძალიან მტკივნეულია, რადგანაც ხელოვნების განუმეორებლობა ინტერპრეტაციის თავისუფლებაშია. ასეთ სასტიკ რეალობაში კი, სადაც ვითხვების და ინტერპრეტაციის დრო არ არის და როდესაც უკიდურესობამდე დაყვანილი ყველაფერი, ხელოვნებას იძულებულია დათმოს თავისი რთული, მრავალმრიანი ბუნება.

რა შეუძლია ხელოვნებას შესთავაზოს საზოგადოებას, როდესაც რეალობა ესოდენ საშიშია? ესოდენ ბრუტალურია? რა შეუძლია ხელოვნებას, როდესაც მდგომარეობა წარმოსახვის და მეტაფორისთვის ადგილს არ ტოვებს? ის ფოკუსირებას აკეთებს ამწუთიერზე და ეს პრობლემატური ხდება მისთვის, რადგან როგორც წესი ჩვენ შემოქმედებითი ხედვისგან განსხვავებულს მოვიტოხოვთ.



მაგალითისთვის, მე-20 საუკუნეში ძალიან ცოტა ნამუშევარში ჰპოვა პირდაპირი ასახვა სისასტიკემ, ომმა.... ამიტომ დიდი დილემაა ბრძოლის აქტიური ფაზის დროს როგორ უნდა გააგრძელოს მხატვარმა მუშაობა?

არსებობს შემოქმედებითი ფორმები სადაც უფრო მყისიერად ხდება რეაგირება, ასეთია პლაკატი, კარიკატურა, გრაფიტი... ცალკე განხილვის საგანია ფოტოგრაფია, რადგან აქ და ახლა აფიქსირებს რეალობას და ეს მისი უდიდესი ძალაა, რომელსაც ამ პროტესტისთვის შეუცვლელი დატვირთვა აქვს.

ვფიქრობ, ასეთ რთულ მოცემულობაში ხელოვანი ხიდების მშენებელია. ის სცდება საკუთარ, ინდივიდუალურ გამოცდილებებს და მაკავშირებლად იქცევა. ხელოვნებას არ შეუძლია ბოლო მოუღოს ამ მდგომარეობას, ან შეაჩეროს, მაგრამ მას აქვს პოტენციალი ჩართოს ადამიანები პროცესში. სახელოვნებო სფეროს პროფესიონალებს – კურატორებს, მხატვრებს აქვთ დიდი გავლენა და ეს ძალა თანამგობრობის, ინდივიდთა ქსელის შექმნაში შეიძლება იყოს გამოყენებული.

სამართლიანობისთვის ბრძოლა დღეს კოლექტიურ განზომილებაშია და ამ დიდი კოლექტივის ნაწილი ხდება სახელოვნებო მიმართულებებიც. შესაძლოა ისინი კარგავენ თავის მრავალშრიან ბუნებას, რეფლექსიურობას, მაგრამ რეალობა და კონტექსტი იმდენად ბრუტალური და ცვალებადია რომ ეს გამართლებულია.

**ბერძნულ ბრძოლის ციხით რომ შევაჯამოთ:**

“**ბნელ დროში იქნება კი სიბღერა? დიახ, იქნება სიბღერა. ბნელ დროში.**

– ბერძნულ ბრძოლი, „სვენბორგის პოეზიები“

**დიახ, ბნელ და სასტიკ დროშიც “იბღერებენ” ადამიანები და ეს მათი პასუხი იქნება იმ მდგომარეობაზე რომელშიც მათ უნახვით ბრძოლა...**



**თქვენი მესიჯი სამი სიტყვით –  
თავისუფლება  
პოლიტიკურ  
პატიმრებს.**





სტატიის  
გამოყენებულ  
საბასტიან კანონ  
ფოტოები.

# აღენა ფასური

## პროტესტის და საპროტესტო განზომილების შესახებ

ბოლო პერიოდში, მიმდინარე პროტესტებში ბევრად უფრო ფართო და საყოველთაო კონსოლიდაცია გამოიკვეთა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ არჩევნების შემდეგ ბევრი ფიქრობდა, თითქოს ხალხმა აირჩია ქვეყანა, სადაც ძლიერი სუსტს ჩაგრავეს, ეროვნული თვითმყოფადობის სახელით ყალბდება ტრადიციები და მისაღებია მილიტარისტულად აგრესიული და ფაშისტური ნარატივები. გვეგონა, რომ ამაზე საერთო შეთანხმება არსებობდა, მაგრამ შემდეგ დავინახეთ, რომ მთელი საქართველო გამოვიდა ქუჩაში.

თუ ჩვენ, როგორც საზოგადოება, ვიღებთ ევროპას და ევროპის დროშას ხელში, ეს ნიშნავს, რომ ღია საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიის ღირებულებებზე ვთანხმდებით. განსაკუთრებით თვალშისაცემია ის, რომ პროტესტი გამოხატეს ისეთ ადგილებში, სადაც ადრე მიგვაჩნდა, თითქოს ხალხს ეს საკითხები არ აღელვებდა – მაგალითად, ახმეტასა თუ თუშეთში. ეს ილუზიები დაიმსხვრა და პირადად მე, საკუთარ თავზე, კრიტიკულად დავინყე ფიქრი. წარსულში არსებობდა ნარატივი, თითქოს “ცენტრიდან” უნდა გვესწავლებინა რეგიონებისთვის რაღაცები, მაგრამ ნათელი გახდა, რომ ეს ადამიანები თავად არიან კრიტიკულები. მაგალითად, ერთი ადამიანი ტელევიზორში ამბობდა, რომ ფეხით ჩამოვიდა რეგიონიდან თბილისში, რათა საკუთარი თვალთვინი ენახა, რა ხდებოდა და გავგო სიმართლე. ასეთი კრიტიკულობა სამაგალითოა.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ პროტესტს ნაწილობრივ დააკლდა საყოველთაო გაფიცვის პოტენციალი და იმ ადამიანების სრული მობილიზაცია, რომლებიც რეალურად თანაგრძნობით არიან განწყობილნი ძალადობის მსხვერპლების მიმართ. თუმცა, ეს მხოლოდ მიუთითებს იმაზე, რომ ჯერ კიდევ გვაქვს სამუშაო გასანევი.

ამ ყველაფრის ფონზე, უნდა გავიაზროთ, რომ კრიზისი ყოველთვის მან-სია საზოგადოებრივი გარდაქმნისთვის. თუ ამ ბრძოლაში გამარჯვებას შევძლებთ, მაშინ ის ცვლილებები, რაც მოხდება, გაუმჯობესებისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება, მსოფლიოშიც და საქართველოშიც.

### კრიზისი და ცვლილების საჭიროება

თუ სახელგნებო კონტექსტში ვსაუბრობთ, ვფიქრობ, ჩვენმა სახელგნებო სივრცემ უნდა დაინყოს ფიქრი ახალ ტრადიციებზე. რა არის ახალი ფოლკლორი ჩვენთვის? როგორ შეიძლება ჩვენი ტრადიციული იდენტობა, რომელიც მუდმივად ხდება მანიპულაციის საგანი, ახალი კუთხით ვიპოვოთ? ეს თვითმყოფადობა, რაც არის ქართული, ჩვენთვის განსაკუთრებულია, რადგან საქართველო ძალიან სპეციფიკური ქვეყანაა. ჩვენზე პირდაპირ გადმოღებული თანამედროვე ხელოვნება, ვიზუალური აქტები ან ფორმები არასდროს იმუშავებს, მით უმეტეს იმ რეალობაში, სადაც ამ ყველაფრის მიმართ ზიზღის გაღვივება მიმდინარეობს.

ბოლო 12 წლის მანძილზე ჩვენ დავინახეთ, რამდენად ადვილია ტრადიციებითა და ეროვნული იდენტობით მანიპულირება. პროპაგანდამ აჩვენა, როგორ მარტივად შეიძლება ასეთი ნარატივების დანერგვა იმ საზოგადოებაში, სადაც აქტიური ადამიანები ან სიღრმისეულად არ იცნობენ მსგავს თემებს, ან მათთვის ევროპისკენ სწრაფვა და პოლიტიკურად კორექტული პოზიციების დაკავება პრიორიტეტულია. თითქოს ამაზე ცოცხალი მუშაობა არ ხდება.



ეს არ ნიშნავს, რომ ტრადიციები არ გვიყვარს. პირიქით, ეს სიყვარული განსაკუთრებით გამოჩნდა პროტესტებისა და მარშების დროს, მაგალითად, ქალების ხორუმში. თუმცა, სწორედ ეს ქალების ხორუმი მახსენებს იმას, თუ როგორ შეიძლება ინოვაციური ნარატივი უფრო კრიტიკული და ღრმა რეფლექსიის საგანი გახდეს ხელოვნებაში. ახალი თანამედროვე ფოლკლორის შექმნა არის ყველაზე საჭირო ამჟამად. ის, რაც დღეს გვიყვარს და რაც ტრადიციად მიგვაჩნია, თავის დროზე ხალხის შინაგანი გამოძახილი იყო – იქნება ეს მუსიკა, ვიზუალური ხელოვნება თუ ფორმალური გამოსახულებები.

ვეფირობ, რომ ამ ძიებაში მთავარი უნდა იყოს არაეგზოტიკური იდენტობის დამკვიდრება – ის, რაც ჩვენს რეალობასა და ისტორიას ასახავს და არა გარედან თავს მოხვეული იდეები. სწორედ ხელოვნებმა და კულტურამ უნდა მოგვითანონ ეს ახალი თვითმყოფადობა, რომელიც მომავალს უფრო ძლიერს და მრავალფეროვანს გახდის.

### ხელოვნება, კულტურა და აქტივიზმი

დემოკრატია, ეკონომიკა, პოლიტიკა და სამართალი ზედმეტად ძვირფასია, რომ მხოლოდ ეკონომისტებს, იურისტებსა და პოლიტიკოსებს მივანდოთ. ეს არ ნიშნავს, რომ მათ საქმიანობაში ხელი უნდა შევეშალოთ, არამედ იმას, რომ ჩვენ, როგორც საზოგადოება, უნდა გავერკვეთ, რა გვინდა და რისთვის ვიბრძვი. თუ ხელოვნება და კულტურა ამ საკითხებში გაარკვევს საკუთარ როლს, ისინი უფრო შემოქმედებითად მიანვდიან საზოგადოებას საკუთარ ხედვებს, პრობლემების ანალიზსა და გამოსავალს.

უკვე ნათლად ჩანს, რომ სახელოვნებო საზოგადოება იცვლება. თუ ადრე, განსაკუთრებით 90-იანებში და 2000-იანების დასაწყისში, ხელოვნები აპოლიტიკურები იყვნენ ყვითელი პოლიტიკის გამო, ახლა სრულიად სხვა სურათია. ახალგაზრდა ხელოვნები დღეს გაცილებით მეტად გამოხატავენ რეფლექსიას მიმდინარე მოვლენებზე. პროტესტებში მათი მონაწილეობა ამ პროცესის გამოხატულებაა.

პოლიტიკა ზედმეტად ძვირფასია, რომ ის მხოლოდ დღევანდელ პოლიტიკოსებს მივანდოთ. ხელოვნების ენაც ძალზე ძლიერია, რომ მისი პოტენციალი სათანადოდ არ გამოვიყენოთ. სწორედ ხელოვნებასა და კულტურას შეუძლია სიღრმისეული ცვლილებების მოტანა ქართულ საზოგადოებაში, რაც უფრო სამართლიან და თანასწორ მომავალს უზრუნველყოფს.



თქვენი მესიჯი სამი სიტყვით –

“ ყველაფერი უნდა შეიხვედროს





**We are fighting  
for Georgia's  
European future!**

Photo by Dato Kevidze

# ქოლგა

თ ბ ი ლ ი ს ი ფ ო ტ ო

## ინტერვიუ თეონა ბობიჩაიშვილი

(თანაორგანიზატორი & კურატორი)

### მოკლე შეფასება: მიმდინარე პროექტის განხორციელება

ქოლგა, როგორც ყოველთვის, თავიდანვე იყო და არის თავისუფალი დემოკრატიული საქართველოს მხარეს. ჩვენ ჩვენი მხრიდან ყველანაირად ხელს ვუწყოთ ფოტოგრაფებსა და ჟურნალისტებს თავიანთი თავისუფალი აზრის გამოხატვას. რაც პროტესტები დაიწყო მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, რომ აქ, გერმანიაში და ზოგადად ევროპაში, ფართო საზოგადოებას ვაჩვენოთ ფოტოებით თუ ტექსტუალური სახით, ის თუ რა ხდება საქართველოში. რა თქმა უნდა, აქ (ევროპაში) ბევრი მედია აშუქებს, მაგრამ ვფიქრობ არ არის წინა პლანზე საქართველოზე სიახლეები, იმიტომ, რომ ლოკალური პოლიტიკა უფრად მეტად განიხილება. ამას ემატება ზოგადი პოლიტიკური რთული სიტუაცია მსოფლიოში, შესაბამისად, სამწუხაროდ საქართველო არ არის ყურადღების ცენტრში, უშუალოდ გერმანიის მედიის მაგალითზე. სწორედ ამიტომ ჩვენი დავალება, როგორც ფესტივალის და ჩემი, როგორც ერთი დამოუკიდებელი ინდივიდის და მოქალაქის არის ის, რომ მაქსიმალურად მხარი დავუჭიროთ ჩვენს პროტესტს და ვაჩვენოთ აქაურ საზოგადოებას, თუ რა ხდება საქართველოში.

### კრიზისი და ცვლილებების საჭიროება

მნიშვნელოვანი და აუცილებელია კრიზისის გადალახვა და ცვლილების მიღწევა იმ გაგებით, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავიდეს საქართველო უკან (ჩემი 90-იანების ბავშვობა, ახალგაზრდობა, 9 აპრილი და ყველა უბედურება, რაც მაშინ გამოვიარეთ). იმის მერე საქართველოში დიდი პროგრესი იყო ბევრნაირი გაგებით. მასხენდება დოკუმენტური ფილმები, რომლებშიც ქოლგა იღებდა მონაწილეობას. მაგალითად, Arte-ს, ძალიან ცნობილი გერმანულ-ფრანგული ტელევიზიის ფილმის გადაღებაში მივიღეთ მონაწილეობა. მეტროპოლი თბილისის 2018 წელს ადარებს თბილისს ბერლინს. ამით იმის თქმა მინდა, რომ არ შეიძლება საქართველომ, რომელიც აქამდე მოვიდა, არამხოლოდ განვითარების, არამედ ხელოვნების მხრივაც, ასეთი უკან მიმავალი ნაბიჯები გადადგას და ვაკუუმში მოექცეს. ჩვენმა ახალგაზრდებმა, ამ გულანთებულმა ახალმა თაობამ არ უნდა იცხოვროს განუვითარებელ, ბნელ სამყაროში, სადაც ტოტალიტარული ძალები მეფობენ.

აუცილებელია ჩატარდეს ახალი არჩევნები დემოკრატიული საშუალებით. პოლიტიკატიმრების გათავისუფლებაა მნიშვნელოვანი, იმიტომ რომ არავის უნდა იჭერდნენ თავისი თავისუფალი აზრის მშვიდობიანად გამოთქმის გამო. ასე, რომ ყველამ გაერთიანებული ძალებით უნდა ვეცადოთ, ჩვენ ჩვენი რესურსებით მსოფლიოს დავანახოთ რა ხდება საქართველოში და მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ დავიბრუნოთ ჩვენი თავისუფალი ქვეყანა.

### ხელოვნება/კულტურა და აქტივიზმი

ხელოვნებას და აქტივიზმს რაც შეეხება, ჩვენ ვიცით ისტორიულად, კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დადაიბში თუ სხვადასხვა მიმდინარეობები, მაგ: კონ-





ცეპტუალურო ხელოვნება, ფლუქსუსი, ავანგარდული 70-იანი წლების მოძრაობა - რამდენად დიდ როლს თამაშობდა საზოგადოებასა და პოლიტიკაში.

Guerrilla Girls 80-იან წლებში, როდესაც გენდერული თანასწორობისთვის იყო ბრძოლა. მასხენდება ბენქსი, ძალიან ცნობილი ბრიტანელი არტისტი, აი ვივეი ცნობილი ჩინელი არტისტი, თუნდაც ბოლოდროინდელი Black Lives Matter მოძრაობა, კუბელი ტანია ბრიგუერა... ხელოვანებს, არტისტებს, კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ იმაში, რომ ეს პოლიტიკური მოვლენები ესთეტიკურად გადაიაზრონ და საზოგადოებას სხვა კუთხით მიანოდონ. ინტელექტუალური და ვიზუალური მიქსი გააკეთონ ასე ვთქვათ. რეალურად აქ (გერმანიაში) ყველა აღნიშნავს, ვინც კი ნახა სოციალური მედიის მეშვეობით, ან ჩვენი პრეზენტაციების მეშვეობით, საქართველოში პროტესტი განსხვავებულ ფორმატში მიმდინარეობს. ყველამ აღნიშნა, რომ ასეთი შემოქმედებითი აქციები ჯერ არსად არავის უნახავს. მაგალითად ეს დიდი სუფრა რომ აღვნიშნოთ, რომელიც ახალ წელს გაიშალა. ასევე მოცუვავების გამოსვლა/ცეკვა. რიგითი, ჩვეულებრივი ადამიანების, იგივე ბებიებისა და ბაბუების მარში თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მარშები - ეს არის საოცრად შემოქმედებითი, ნიჭიერი, თბილი, რაც მთავარია მშვიდობიანი მარშები. ეს არის საოცარი აქტივიზმი, რაც ვფიქრობ აუცილებლად დარჩება ფარ-



თო საზოგადოების მესხიერებაში. ასევე, დაილექება კოლექტიურ მესხიერებაში და იმედი მაქვს ამაზე წიგნებიც დაიწერება და ფილმებსაც გადაიღებენ.

თქვენი მესიჯი სამი სიტყვით -

“**წინ**  
მშვიდობიანი  
გამარჯვებისთვის!



# Protest and Art Resistance

ლანო პინტინიანი





## მოკლე შეფასება: მიმდინარე პროცესის განხილვა

პროცესის შეფასება რთულია, რადგან პროცესია და მიმდინარეა. ბევრი აქტორი იკვეთება და ბევრი განხილვა აქვს. როგორც ერთი შეხედვით ჩანს, საზოგადოება უპირისპირდება ტოტალიტარიზმისაკენ მიმავალ რეჟიმს, რომელიც ამ ეტაპზე პოლიციურ რეჟიმად იქცა. მოქალაქეებს არ მოსწონთ პრემიერმინისტრის მიერ და მისი გუნდის ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას და წყვეტს ევროინტეგრაციის კურსს. პროცესის მთავარი განხილვა საქართველოს პოლიტიკური კურსის ცვლილებაა. მაგრამ რა წინაპირობები გააჩნდა ამ პროცესს? რატომ დასჭირდათ კურსის ცვლილება? რატომ არ განსაზღვრეს რისკები, რაც ასეთ გადაწყვეტილებას მოყვებოდა? რა განხილვები გააჩნია ევროინტეგრაციის შეჩერებას? თითქოს პასუხი მარტივია, რუსეთის იმპერიალისტური რეჟიმის პოლიტიკური სვლებია და ქართული ოცნებასაც რუსული იმპერიალისტური რეჟიმის ადგილობრივი მექანიზმია. მხოლოდ არჩევნები კი არ გაყალბდა, პოლიტიკური ცხოვრება და რეალობა გააყალბა ქართულმა ოცნებამ საქართველოს ბიუჯეტის გამოყენებით. ფუნქციონირებენ ტროლები, ანდერგრაუნდ სააჩვენო კაპიტნები, მიმოქცევაშია სანქცირებული პროდუქცია, მმართველი ოლიგარქია, რომელიც დეიურე არაა ქვეყნის პირველი პირი, მაგრამ დეფაქტო პირველი პირია. თანამედროვე საქართველო იქცა ვირტუალურ რეალობად, სადაც ხელშესახებითი აღარაფერია. რეალური პოლიტიკური ცხოვრება, მიღებული კანონები ფიქციაა და მხოლოდ ერთი ადამიანის ძალაუფლების შენარჩუნებას ემსახურება. ამისათვის საჭიროა, რომ ქვეყანაში იყოს მასზე დამოკიდებული ბევრი სოციალურად დაუცველი, არ მუშაობდეს და-მოუკიდებელი მედია, არსებობდეს მორჩილი კულტურა. და ბოლოს, თავში დასმულ კითხვაზე ვცდები პასუხის გაცემას: რატომ არ განსაზღვრეს რისკები, რაც ევროკავშირთან მოლაპარაკების შეჩერების გადაწყვეტილებას მოყვებოდა? მათ იციან რომ საქართველოში 1, 200 000 ადამიანი არის რეგისტრირებული სოციალური დაცვის სისტემაში. მათზე აქვთ გათვლა, რომ მუდმივ მიძევლებად ეყოლებათ. მაგრამ, მიძევლები განრისხდნენ. ადამიანი სტატისტიკური ერთეული მხოლოდ დიქტატორულ სისტემაშია. აქ ცდება ყველა დიქტატორული რეჟიმი.

## კრიზისი და ცვლილების საჭიროება

პოლიტიკური კრიზისი დღეს ერთგულ-ნაციონალური განხილვებისაა.

ჩემს თავს კითხვას ვუსვამ ხოლმე - ჩვენ კიდევ ერთხელ დავდევით სუვერენიტეტის დაკარგვის წინაშე? და სადღაც მგონია რომ არა. ჩვენს პოლიტიკურად და ტერიტორიულად

რიულად მყოფე სახელმწიფოში, სადაც საზღვრები მოძრაობენ, დღეს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის საკითხი იგივე სიმძაფრით დგას, როგორც აფხაზეთის ომის მერე. დღევანდელი კრიზისის სათავე კი არის ქვეყნის პოლიტიკური კურსის ცვლილება, მაგრამ რეალური კრიზისი სოციალური და ეკონომიკური პრობლემებია. ქვეყნის რესურსები ელიტის ხელშია. ელიტა პრაქტიკულად რამდენიმე ადამიანია, რომელიც ერთი ადამიანის სანათესავო წრეა. ელიტური კორუფცია უმღლეს მაჩვენებელზეა. შესაბამისად, ისედაც მცირე ე.წ. საშუალო ფენამ დაკარგა რესურსები და მექანიზმები. 12 წელია მიმდინარეობს იმ ხალხის განდევნა საჯარო სამსახურებიდან თუ ბიზნეს სექტორიდან, რომელიც ივანიშვილს ჯახს არ ენათესავება ან ადიდებს. ქვეყანაში მძაფრი ეკონომიკური კრიზისია, რომლის დამალვასაც ყველა გზითა და ახლად მიღებული სულელური კანონებით ცდილობს ქართული ოცნება.

## ხელოვნება/კულტურა და აქტივიზმი

ხელოვნების/კულტურის სფერო აქტიურად არის ჩაბმული პროტესტში, ერთგვარი ფლაგმანი პროტესტის. პრაქტიკულად 28 ნოემბრის მერე, როდესაც ირავლი კობახიძემ გამოაცხადა რომ ცვლის საქართველოს კონსტიტუციით განპირობებულ ევროინტეგრაციის კურსს, დღემდე ხელოვნების წარმომადგენლები შეუჩერებლად აორგანიზებენ და იღებენ საპროტესტო აქციებში მონაწილეობას. ამ პროცესს გააჩნია თავისი წინაპირობა. ხელოვნების და კულტურის წარმომადგენლები წლებია რეპრესიული რეჟიმის მსხვერპლნი არიან. მოხდა მათი სამსახურებიდან დაითხოვა პოლიტიკური ნიშნით. შესაბამისად წლებია ხდება წინააღმდეგობის მოძრაობის პროვოცირება, რომელიც წერტილოვნად და დიფერენცირებულად ვლინდებოდა სხვადასხვა პროცესებში, ახლა კი შეჭგუფდა და ერთ მოძრაობად იქცა. გაერთიანდნენ კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები: კინო, მუსიკა, სახვითი ხელოვნება, არქიტექტურა, თეატრი... გაიმართა საპროტესტო გამოფენა: ქოცრეალიზმი მხატვარ ეთერ ჭკადუას თაოსნობით; პროტესტის მხარდამჭერი გამოფენა გაყიდვა Fearless ფოტოგრაფიისა და მულტიმედია მუზეუმში; გამოფენა 'პროტესტის პარალელურად' თანამედროვე ხელოვნების სივრცეში „კორიდორი“. გაჩნდა გამოფენის დაცენზურების და ხელოვნების სივრცის დახურვის პირველი პრეცედენტი: გორის ხელოვნების სახლს გორის მერიამ მოსთხოვა გამოფენის დახურვა და სივრცის დატოვება. გამოფენა საქართველოში მისი დამოუკიდებლობის მანიფესტაციის გამოართული პროტესტების ლობუნებასა და სიტყვებს წარმომადგენდა. სამწუხაროდ, სიტემის მიერ დაცვევებულ ადამიანებს შორის მრავლადაა კულტურის სფეროს წარმომადგენლები: მსახიობები, პერფორმერების, ხელოვნებათმცოდნეები. მიუხედავად ფიზიკური ანგარიშსწორებისა, ხელოვნების პროტესტის გამოხატულება იზრდება. მოეწყო საპროტესტო მარშები მუსიკის, ცეკვის თანხლებით. თეატრალურმა გააკეთეს მსვლელობა თეატრის დღეს 14 იანვარს. უამრავი პოსტერი თუ გრაფიკული ნოველა შეიქმნა. პოლიტიკური კრიზისი პროვოცირებს შემოქმედებით პროცესს. თუმცა მთავარი შემოქმედი მაინც ხალხია. უპირატესი ხელოვნება კი ხალხის ერთიანობა და ერთიანობის გამოხატულების ფორმები. გარე პერსპექტივიდან საპროტესტო აქციები საჯარო სივრცის შექმნისა და საჯარო ხელოვნების ნიმუშებს ქმნის.

თქვენი ბესიჭი სამი სიძყვიო -

თავისუფლება ჩაუიმიის პატიონებას!



**INDEPENDENT**

**ARTISTS,**

**SHORT TALKS**

**GALLERISTS AND**

**CULTURE**

**PROFESSIONALS**

**ABOUT  
POWER OF  
PROTEST**



# GIORGI MAISURADZE

## Short evaluation: Dimension of the ongoing protest

On November 28, the protests erupted spontaneously following the announcement by Irakli Kobakhidze that the Georgian government was suspending the European integration process until 2028. This statement sparked an immediate, visceral reaction, with tens of thousands of people leaving their homes without prior planning or organization to voice their indignation. That same night, the peaceful demonstrators faced violent dispersal, which only amplified the protests, spreading the wave of resistance from the center of Tbilisi to other regions across Georgia. With these actions, Georgian Dream dropped its façade, revealing its true nature – not only in foreign policy but also domestically. It became clear that the government was dismantling the fragile remnants of democracy, replacing them with an authoritarian regime built on repression. Georgian Dream responded to international criticism and sanctions not with reflection or reform but with a barrage of disinformation and conspiracy theories. The regime's propagandists fabricated narratives about a supposed "Global War Party" or "Deep State," claiming these forces were behind the country's international isolation. In reality, the ruling party has abandoned constitutional principles, clinging to power through coercion and violence. The violent repression of peaceful demonstrators, coupled with the arrests and detentions orchestrated by the Ivanishvili regime, has only intensified the public's resolve. The protests have evolved into a movement of disobedience and rebellion, rejecting not just individual "Russian" laws or rigged elections but the entirety of the existing regime. This is a decisive rejection of Ivanishvili's oligarchic authoritarianism. However, something deeper is unfolding. This is not merely a protest against a regime – it is a regeneration, a rebirth of the national collective. From the initial chaos and spontaneity, amidst injustice, violence, and oppression, a new society is emerging. This society demonstrates remarkable self-organization and an unwavering sense of solidarity, signaling the birth of a fundamentally transformed collective spirit.

## The crisis and the need for change

A crisis, by its very nature, signifies that the existing system has failed and reached an impasse. Ivanishvili's attempt to establish a dictatorship in Georgia has plunged the country into a profound and all-encompassing crisis. The only way forward is the complete collapse and dismantling of the current system to ensure that authoritarianism, oligarchy, and kleptocracy can never reemerge. This is not only necessary – it is possible. Georgian Dream has left no room for retreat, neither for itself nor for the country. If the Dream loses power – which it currently sustains solely through violence and mass disinformation – it will face inevitable prosecution for the numerous grave crimes it has committed. Conversely, if the rebellious citizens relent, they will forfeit their freedom, civil rights, and the very essence of their country. Under a dictatorship, Georgia would be led down a path of destruction, akin to a malignant tumor consuming its host. The stark reality is this: either Ivanishvili or Georgia. These two entities are fundamentally incompatible and cannot coexist. The survival of the nation hinges on choosing freedom and dismantling the authoritarian system that threatens its very existence.



## Art / Culture and activism

The remarkable activism of artists and academics in these protests is striking and deeply significant. On one hand, this can be traced to specific causes, notably the actions of Minister of Culture Tea Tsulukiani. Her reckless and destructive policies have inflicted such severe damage on Georgian culture that it will take years to repair. Furthermore, Tsulukiani's repressive and arbitrary approach to cultural policy has served as a testing ground for broader authoritarian practices that Georgian Dream has since applied to the entire country. On the other hand, the adoption of laws resembling those in Russia's constitution has disproportionately targeted the cultural sphere. In recent months, these laws have directly threatened Georgian art, science, and higher education – sectors that largely rely on international funding for survival. Without this external support, these institutions would face collapse. Additionally, the censorship imposed by the regime is aimed at silencing, persecuting, and discrediting cultural and intellectual figures while distorting and trivializing both art and critical thought. Given this context, the activism of cultural figures is not only logical but also a response to an existential threat. It is driven by an acute awareness that their fields – and by extension, Georgia's intellectual and cultural identity – are under siege. Their resistance embodies a defense of the very foundations of freedom, creativity, and independent thought against a regime intent on their suppression.

**3** Your message in words

“**No other way!**”



Photo by: Justyna Mielnikiewicz



# Keti Shavgulidze

## Short evaluation: Dimension of the ongoing protest

As an ordinary citizen, I can only interpret the current situation this way: in this protest, we are fighting on a new front, beyond the boundaries of our professions. The artist's body and voice inherently become political, compelling us to step beyond our personal, professional, or even gender-defined spaces. This is a dimension where the protest prevents us from viewing events through an individual lens. Art, too, finds itself in a state of suspension, as the critical nature of the situation demands it. This is a harsh reality, rooted in injustice and violence, where fundamental human values are being violated.

## The crisis and the need for change

The crisis is here and now. Therefore, before discussing inevitable changes, I believe it is essential to assess the current situation. At the same time, the urgency of the moment demands a swift, immediate response. In such conditions, contradiction itself becomes a powerful force, and in this conflicting struggle, art emerges as a form of expression. This process unfolds through various stages of development and forms of manifestation, remaining inherently creative in its essence.

Lately, I have often sought answers in ancient art, drawing connections between it, modernity, and contemporary art. For instance, the word "crisis," rooted in its Greek etymology, signifies entering a decisive phase. I am also reminded of Jean-Paul Sartre's view that every day, a person makes a choice, deciding how to respond to reality. In this context, the struggle requires us to make new decisions daily, highlighting that change is not a singular event but an ongoing, dynamic process.

## Art/Culture and activism

Although the struggle continues in the streets, action must also begin in all other areas. The art and educational space Corridor has resumed its activities with a group exhibition titled "Parallel to the Protest," which reflects the stance of Corridor and the participating artists. The exhibition is a powerful manifesto of resilience—a space where participating artists respond to the country's political tensions and creatively express our collective position.

"Parallel to the Protest" brings together artists who, through their works, explore the struggles, hopes, and unity of a society undergoing transformation. The exhibition mirrors the ongoing protests in the streets and invites visitors to engage in dialogue for change. Art is not only a reflection of society but also a driving force for transformation.

# PARALLEL TO THE PROTEST

**WE STAND TOGETHER — IN PROTEST,  
SOLIDARITY, AND CREATIVITY.**

January 16 - February 9, 2025  
Curated by Sopho Kolkhidashvili







# NINI DARCHIA

After an almost year-long pause, it still took me more than a month to open the planned exhibition in parallel with the protest.

By the end of November, the exhibition was already set up, but then a new wave of protests began, and naturally, the entire gallery moved back to the streets.



# GALLERY



The gallery presents Tezi Gabunia's second solo show, **CLOSED**, on which the artist worked for almost a year. This is a series of paintings that narrate the artist's personal experience like a diary. It is also a form of self-reflection—both on the inner world and ongoing events.

Being on the edge is one of the key themes of this series—between transition and presence, figure and abstraction, image and negative space.

The exhibition space itself is site-specific, and its meaning has significantly shifted in light of current events. Initially, it was conceived as an illustration of isolation. Today, however, visitors find themselves in a space where they have to view the exhibition through the prism of bars.

It is also crucial to emphasize that, as a curator, the most critical weapon I can wield in protest is my own profession. My most important platform in such times is my gallery—Gallery 4710. This exhibition is, therefore, a form of protest, a way to express my stance on current events through the language of art. I believe that we must utilize every possible space and platform in our protest.

# TEZI GABUNIA'S second solo show



# CLOSED



# WINDOW PROJECT SOS

## SOS\_Group Exhibition

Window Project presents SOS, a group exhibition featuring Georgian contemporary artists from different generations. The exhibition explores reflections on contemporary politics and culture from 1989 to the present.

## Artists:

NINO ALAVIDZE

ALEKSANDRE (SANDRO) ANTADZE

TATO AKHALKATSISHVILI

UTA BEKAIA

ANDRO DADIANI

ANI TOIDZE

TAMARA K.E.

MIA OKRUASHVILI

KOKA RAMISHVILI


DATO KORIDZE

VAKHTANG KOKIASHVILI

OTO TSAGAREISHVILI

GURAM TSIBAKHASHVILI

RUSUDAN KHIZANISHVILI



09.02. - 20.03 2025





# Preventive Conservation




The existence of parallel worlds remains a concept of science fiction for many, yet for a keen eye, it is evident that the 21<sup>st</sup> century is, in fact, the era of parallel realities. Those ensnared by the lure of superficial brilliance and illusory peace refuse to see the bodies of those burned in the fire of hardship.

A portal emerges between these two worlds – a gateway through which the voice of truth is heard.

Within the silenced walls of the Academy of Arts, students have opened precisely this portal—a free studio, a space where art still begins with freedom. The exhibition presents conserved objects that were once an integral part of the daily lives of students inhabiting this space. These items are more than just ordinary objects; they are symbols of resistance, unity, and defiance. Each one carries its own voice, preserved within the walls, the floors, the empty spaces, and the illuminated corners. The banners displayed in the academy's courtyard resonate as echoes of these speaking objects.

Conservation is not an act of submission—it is the possibility of rebirth. These objects can be reopened and regain their function at any moment, for the struggle is not yet over! This exhibition embodies both temporality and eternity, as new portals are opening across the city while this space undergoes conservation.



The existence of parallel worlds remains a work of fiction for many, but to a keen eye, the 21st century is precisely the era of parallel realities.





# A SCENE of an INCIDENT

## ARTISTS:

Andro Dadiani  
Saba Gorgodze  
Tiko Imnadze  
Temo Javakhi  
Anna Jibladze  
Quemmekh  
Mishiko Sulakauri

## CURATED BY:

**MISHIKO SULAKAURI**

21/07- 10/09 2023

The Why Not Gallery hosted a group show "**A Scene of an Incident**", curated by Mishiko Sulakauri. Exhibition brings together the works of Georgian artists who explore painful facts and cultural violations for Georgia. The symbols/images presented in the monochrome exhibition are the daily experience of our life, dialogue with the environment, negative news and incidents, which are in a never-ending cycle.

For artists, the sensitive pictures that take place at the accident sites in Georgia, in many cases, remain empty with time, which no one fills.

### Toxic relationship\*

\* Our relationship with Georgia has turned into a damaging, unhealthy relationship. The government is tactically deceiving us every day and leaving us behind in the future. Such processes are facilitated by our collective inactivity.

Today is a sunny day\*  
Like yesterday, I woke up and nothing had changed.



# THE DICTIONARY OF PROTEST – EXHIBITION



HERE, YOU CAN READ **100 SENTENCES** OF PROTEST.



Sometimes massive, sometimes small. With blocked streets, sometimes with just one person. Silent, loud. Through marches, through concerts. In the rain, in the cold, in the wind. Sometimes in the heat of a scorching summer day. Sometimes with fulfilled demands, often with unfulfilled ones. Through revolutions, crackdowns, sacrifices, peacefully, or sometimes unnoticed.

**What is written in the streets?**

**How do demands change?**

**What remains the same?**

**What words did it start with, and where are we now?**

**What did we demand 30 years ago, and what do we demand today?**

The dictionary is a collection of demands written during protests over the past 30 years. 100 slogans, sentences, and demands written at different times, during different protests. The meaning of these words, the results of these words, shape our reality, our daily lives. The history written with these words is before you. A history written in the streets.

**PROJECT AUTHORS:**

**Mariam Natroshvili & Detu Jincharadze**

**PROJECT SUPPORTER: Indigo**

This material has been prepared in collaboration with “Internews Georgia” and “Internews” as part of the project “Strengthening Independent Media in Europe and Eurasia.”





CHAIKHA  
AZ

# ისტორიული დისკურსი

ინფიზომ

e-flux notes

ხელოვნება და პროტესტი



ფილმის ბმული:  
[ხელოვნება და პროტესტი](#)

# CHAI KHANA

## ხელოვნება და პროტესტი

რეჟისორი: ანნა ძიაპუიკა



მულტიმედია პლატფორმა: Chai Khana

რას ნიშნავს ქართული სახელოვნებო პროტესტი ან აქტივიზმი და რამდენად ეხმარება ის ჩვენ ტურბულენტურ უახლეს ისტორიას?

Chai Khana-ს გამოცემაში "ხელოვნება და აქტივიზმი" 2020 წელს რეჟისორმა ანნა ძიაპუიკას ფილმი "ხელოვნება და პროტესტი" გადაიღო:

ეს ფილმი ერთგვარი მცდელობაა მონიშნოს ამ პროცესის მონაწილეების ნაწილი და ინტერვიუების მეშვეობით სხვადასხვა მხრიდან შეეხოს საკითხს. ოთხი რესპოდენტი ისტორიული, კულტურული, დოკუმენტური და სახელოვნებო პერსპექტივით ლაპარაკობს არტისტულ პროტესტზე, იშველიებს მაგალითებს და პასუხების გარდა საინტერესო კითხვებსაც სვამს.



### Chai Khana-ს შესახებ

Chai Khana მულტიმედია პლატფორმაა, სადაც ამბებს ვიზუალურად ვკვებით. ისტორიებს სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან: აზერბაიჯანიდან, საქართველოდან და სომხეთიდან გიზიარებთ.







XX-XXI

პროტესტი და წინააღმდეგობის  
საქართველოში

N 0.52

ინდიგო ისტორიები პლაქარტები საზოგადოება კულტურა ქალაქი საპროტესტო პრაქტიკა

სატი მერსი, ირინა, ანასტასია

## #პროტესტი

2025



იანვარი  
24,  
2025

კომენტარი

საზოგადოებრივი მუხუცებლის მუხუცე | თამარ მშენებელიაძე  
„რეალური სივრცის“ პროდიუსერი, თამარ მშენებელიაძე საზოგადოებრივი მუხუცებლის შესახებ



იანვარი  
22,  
2025

კომენტარი

მზია აბალოშვილის პატიმრობის საქმე | ჯიქა თურაძე  
„ბათუმელების“ მთავარი რედაქტორი, ეთერ თურაძე მზია აბალოშვილის პატიმრობის საქმის შესახებ



იანვარი  
21,  
2025

პოლიტიკა

სა, რომელიც არ იკარგება | ინგო ჯიქაძე



იანვარი  
20,  
2025

პოლიტიკა

მამუცხის ჩაობა | ჯიქა თურაძე

ფურნალი ინდიგო აქტიურად აშუქებს მიმდინარე პროტესტს სხვადასხვა ფორმით.

2018 და 2023 წელს ინდიგო სპეციალური გამოცემები მოამზადა თემაზე “პროტესტი და წინააღმდეგობა საქართველოში” თამარ ბაბუაძისა და ნინო ლომაძის ავტორობით.

ციტატა 2023 წლის ინდიგოს ნომრის წინასიტყვაობიდან:



რა აჩერებს პროტესტს და წინააღმდეგობას?

2018 წლის გამოცემის შემდეგ, რომელიც პროტესტის ბოლო ათი წლის გამოცდილებას უყრიდა თავს, ინდიგო წინააღმდეგობისა და პროტესტის ახლა უკვე ოცდაათწლიანი ისტორიის გასააზრებლად, ისევ უბრუნდება საკვანძო კითხვას:

**როდის იფანტება მუხტი?**

**როდის ქრება, ან საერთოდ თუ ქრება პროცესი?**

ინდიგო

# მშვიდობის სახელით: საქართველოს არჩევნების შემდგომი კრიზისი და მასობრივი საპროტესტო აქციები

e-flux notes

თამთა ხალვაში და ლუკა ნახუსრიძე

## არჩევნების შემდგომი ლეთარგია

2024 წლის გაზაფხულზე მიმდინარე უპრეცედენტო მასშტაბის, ხანგრძლივი საპროტესტო აქციების მიუხედავად, „ქართულმა ოცნებამ“ ძალით მიიღო ე.წ. უცხო ქვეყნის აგენტების ვანონი, რომელიც სამოქალაქო სექტორსა და ევროინტეგრაციის პროცესზე პირდაპირ დარტყმად აღიქმება<sup>1</sup>. ხელისუფლებამ, რომელიც სულ უფრო მეტად ავლენს ავტორიტარიზმისა და ფაშიზმის ნიშნებს, უკიდურესად ხისტი პოზიცია დაიკავა, რამაც პროტესტის მონაწილეები იმედგაცრუებული დატოვა. ამ კოლექტიური ფრუსტრაციის შემდეგ, მოსახლეობა 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ირგვლივ მობილიზდა, რომელიც პოლიტიკური ცვლილებების ინსტიტუციური გზით განხორციელების უკანასკნელი იმედი იყო. ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების კონსოლიდაციის მიუხედავად, სამართლიანი არჩევნები სამოქალაქო სამოგადოების, პოლიტიკური აქტივისტებისა და რიგითი მოქალაქეებისათვის გამაერთიანებელ სიმბოლოდ იქცა. იყო საყოველთაო განცდა, რომ ამ არჩევნებით საქართველო ან შეძლებდა ფუნქციური დემოკრატიის შენარჩუნებას, ან საბოლოოდ გაფორმდებოდა ავტორიტარიზმისაკენ სვლა.

ეს იმედი სასტიკად ოპტიმისტური აღმოჩნდა. ხალხი ჯიუტად და დიდი შემართებით აქტიურობდა, რათა ძალაუფლების დემოკრატიული გზით გადაბარება მომხდარიყო, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ წარმატებით გამოიყენა „მშვიდობის“ რიტორიკა და ანტიგენდერული (ანტი-ლგბტ) ნარატივი. მათ მოახერხეს რუსეთთან ომის კოლექტიური ტრავმით, ასევე „გლობალისტური ძალების“ პირისპირ „ეროვნული იდენტობის“ დაკარგვის შიშით მანიპულირება. მათი სტრატეგია ოპონენტების „ომის გამჩაღებლებად“ წარმოჩენაში მდგომარეობდა, რომლებიც საქართველოს მორიგ გამანადგურებელ კონფლიქტში ჩაითრევდნენ. შიშის დასათესად, მმართველმა პარტიამ პროპაგანდით გააჭერა მედია და ბილბორდებზე ომით დანგრეული უკრაინისა და საქართველოს იდილიური, მშვიდობიანი სურათები გვერდიგვერდ გამოფინა. არჩევნების გაყალბების ბრალდებების ფონზე, ხელისუფლებამ განაცხადა, რომ დამაჯერებლად გაიმარჯვა.

არჩევნებმა ქვეყანა უცნაურ, გაურკვეველ მდგომარეობაში დატოვა, რომელიც არც გამარჯვების ტრიუმფს მოგაგონებდათ და არც - საზოგადოების უკმაყოფილებას; ეს დიდი გაურკვეველობის პირისპირ საყოველთაო ლეთარგიას უფრო ჰგავდა. რაც უფრო ცხადი ხდებოდა, რომ არჩევნები სისტემურად გაყალბდა - დაშინებით, მოსყიდვით, საარჩევნო კარუსელებით, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევითა და სხვა მექანიზმებით, რაშიც სახელმწიფო უწყებებიც მონაწილეობდნენ - მით უფრო ღრმავდებოდა უნდობლობა შედე-

გების მიმართ. იმის მიუხედავად, რომ „ქართული ოცნება“ ამტკიცებდა, თითქოს, ბოლო 12 წლის მანძილზე ყველაზე დიდ საარჩევნო წარმატებას მიაღწია - ხმების 54 პროცენტი მიიღო - არჩევნების დამეს მათ სავსეოდ არ ეზიზღებოდათ. აქა-იქ მანქანის რამდენიმე სიგნალიც გაისმა და ერთი-ორი ფოიერვერკიც ისროლეს. ამის შემდეგ თბილისის საზარელ სიჩუმეში ჩაიძირა, რამაც ზოგიერთი უცხოელი ჟურნალისტი და პროტესტების მომლოდინე ტურისტი იმედგაცრუებული დატოვა.

„ქართული ოცნების“ ლეგიტიმურობის მიმართ ეჭვები ვიდევ უფრო გაღრმავდა, როცა ოპოზიციურმა პარტიებმა და დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა არჩევნების შედეგები არ აღიარეს. ხალხის უმეტესობა არჩევნების შედეგების გაყალბებაში დარწმუნებული იყო, თუმცა ოპოზიციამ მოსახლეობის დიდი მასის ქუჩაში გამოყვანა ვერ მოახერხა. ხალხი აპათიური ფრუსტრაციით შეხვდა ივანიშვილის გადაწყვეტილებას, რომელმაც ტრავმას შეურაცხყოფაც დაუმატა და საპრეზიდენტო კანდიდატად „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის წარმომადგენელი, ოდიოზური ულტრამემარჯვენე და ყოფილი ფეხბურთელი წამოაყენა. გადაწყვეტილება ერთპიროვნული მმართველობის მორიგ აშკარა და ცინიკურ გამოვლინებად შეაფასეს ქვეყანაში, რომელიც ჯიუტად ებღაუჭება დემოკრატიას. ბევრმა მზარდი ავტორიტარიზმის წინააღმდეგ ხანგრძლივი სამოქალაქო წინააღმდეგობისათვის მზადებაც დაიწყო. იმედის ერთადერთი ნაპერწკალი საქართველოს ევროპული პერსპექტივა იყო, რომელსაც ქვეყანა სულ უფრო შორდებოდა, მაგრამ შანსი მაინც არსებობდა. 28 ნოემბერს ეს მყიდვე იმედიც დაიმსხვრა, როცა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ საქართველოს ევროინტეგრაცია და ევროკავშირთან გაწევრების მოლაპარაკებების დაწყება, მინიმუმ, 2028 წლამდე ჩერდებოდა.



პარლამენტის შენობა. 2024 წლის ნოემბერი. ფოტო: გიორგი შველიძე

კობახიძის ამ განცხადებამ საზოგადოებაში მიძინებული დრტკინვა და ბრაზი გამოაფხიზლა და ლეგიტიმაციის კრიზისი სრული სიმძლავრით წარმოჩინდა. სრულიად სპონტანურად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, უპრეცედენტო საპროტესტო ტალღამ იფეთქა, რომე-

<sup>1</sup> იხ.: Tamta Khalvashi, "In the Name of Sovereignty: Georgia's Second Attempt to Pass the 'Foreign Agents' Bill," e-flux Notes, May 9, 2024. Caucasus & Central Asia, Protests & Demonstrations



ლიც ამ დრომდე არ წყდება. ამ გადამწყვეტი მომენტიდან – „ქართული ოცნების“ ძალადობრივმა რეპრესიებმა და ინსტიტუტების ჩამოშლამ, რამაც სახელმწიფო სტრუქტურები დისფუნქციურ, შერცხვნილ და პარალიზებულ მდგომარეობაში ჩააყენა – კოლექტიური მობილიზაცია ეგზისტენციურ იმპერატივად აქცია. პროტესტი და-სავლური ორიენტაციისა და ევროინტეგრაციის შენარჩუნების მიზანს გასცდა და დემოკრატიის, სახელმწიფოებრიობის, სამართლიანობისა და, უბრალოდ, წესიერებისთვის ფართომასშტაბიანი ბრძოლის სახე შეიძინა.

## პროტესტი და მრავალგვარად განსვლილი პროტესტი

28 ნოემბრის საღამოს, რუსთაველის გამზირზე, რომელსაც უამრავი პროტესტი უნახავს, მომიტინგეთა სრულიად განსხვავებული სხეული გამოჩნდა. მათი სრულიად ახალი, მულტიმედიური და მულტიცენსორული ენა გახლდათ მრისხანების, იმედისა და ერთიანობის, ხმის, გამოსახულებისა და ბგერების დინამიკური ნაზავი. ერთ-ერთი ჩვენგანი იქ იმყოფებოდა, როცა მოულოდნელად, ქალაქის ყველა კუთხიდან ხალხის მასამ დაიწყო დენა და პარლამენტის წინ სასონარკვეთით შეგროვება, რაც საკუთარი ქვეყნის კოლექტიურ გლოვას მოგაგონებდათ. მალე ეს ყრუ გლოვა პოლიციის მიერ პარლამენტის ირგვლივ აღმართული ლითონის ღობეებზე მუშტების ბრაზუნის გამაყრუებელმა ხმამ შეცვალა, რომელიც სასტვენებისა და ყვირილის მჭახე ხმას ერწყმოდა. ამ გაბმულ ხმაურს მაშხალეების ხმა არღვევდა, რომლებსაც ხალხი პარლამენტის მიმართულე-ბით ისროდა. ეს შენობა ყველა იმ უბედურების სიმბოლოდ აღიქმება, რომელიც ბოლო დროს ქვეყანას დაატყდა თავს. მის კედლებზე ლაზერის მწვანე წერტილები დახტოდა, რომლებიც მომიტინგეთა დასარბევად მობილიზებულ პოლიციელებს თვალს ჭრიდა.

მრისხანების ამ არასიტყვიერ გამოხატულებასთან ერთად, ასევე ის-მოდა გაუთავებელი პოლიტიკური კამათი ათობით ათასი ადამიანისა, რომლებიც სპონტანურად, ჯგუფებად იყვნენ შეკრებილი და მთელ გამზირზე მიმოფანტული. ტრადიციული მთავარი სცენის ნაცვლად, საიდანაც წინასწარ შერჩეული სპიკერები ხმის გამძლიერებლებში საუბრობენ, ხალხმა გამზირის სხვადასხვა ნაწილის სხვა-დასხვა მედიუმით დაკავება გადაწყვიტა. პარლამენტის ზედა ფა-სადზე მორბენალი სტრიქონი ულიდეროდ შეკრებილი ხალხის ყველა მოთხოვნასა და გრძნობას გასაგებად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბებულ გზავნილებად აუღერებდა: ახალი არჩევნები; წინა კვირებში უკანონოდ დაკავებული და სასტიკად ნაცემი ასობით მომიტინგის გათავისუფლება; სოლიდარობა სხვა ქალაქებში მიმდინარე საპროტესტო აქციებს; სასტიკი დარბევის მონაწილეთა სახელები; ხუმრობები „ქართული ოცნების“ პოლიტიკოსებზე და ბევრი სხვა. მოგვიანებით, რუსთაველის გამზირი და მიმდებარე ქუჩები ცრემლსადენი გაზით, წყლის ჭავლითა და რეზინის ტყვიებით შეიარაღებულ საპოლიციო ძალებსა და პროტესტის მონაწილეებს შორის შეტაკების ველად იქცა. ეს უკანასკნელნი თავს აირჩინალებითა და ბარიკადებით იცავდნენ, რომლებიც ნავის ურ-ნებითა და სკამებით სახელდახელოდ შეაკონინეს და პოლიციე-ლებს იქიდან საპასუხოდ მაშხალეებს „უშენდნენ“.

„ქართული ოცნების“ მთავრობამ მონიწივე ტექნოლოგიებით წინა-აღმდეგობის გატეხვა ვერ მოახერხა. დემონსტრანტთა პერიოდუ-ლი გატაცებები, ცემა და დაკავებებიც უშედეგო აღმოჩნდა ჭეშმარი-ტად ულიდერო მოძრაობის სავარაუდო „ლიდერებისა“ და „თავკა-

ცების“ გასანეიტრალებლად. ბოლოს, მმართველმა პარტიამ შეგ-ნებულად წაშალა ზღვარი ლეგიტიმურ და უკანონო ძალადობას შორის და მომიტინგეების დასარბევად „ტიტუშკები“ გამოიყვანა; კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის, რომ ხელისუფლებამ ამ კრიმი-ნალური ელემენტების სახელმწიფო აპარატში ინტეგრირება და, იმავდროულად, უკმაყოფილო საჯარო მოხელეების სამსახურიდან დათხოვნა დაიწყო. ამგვარად, სახელმწიფო ინსტიტუტების დემონ-ტაჟი „ქართული ოცნებისათვის“ ძალაუფლების შენარჩუნების ძი-რითად საშუალებად იქცა.

რაც უფრო აშკარა ხდება მთავრობის ომი საკუთარი ხალხის წინა-აღმდეგ, მით უფრო პრინციპულია დემონსტრანტების პასუხიც. ტე-რორის ყოველი ღამის შემდეგ, ქუჩაში ხალხის უფრო მეტი რაოდენ-ობა გამოდის; მოაქვთ საჭმელი და სასმელი და ერთმანეთს უნაწი-ლებენ; მდერიან სიმღერებსა და საგალობლებს, თითქოს, შიშისა და სტრესის განდევნა სურდეთ, რომელსაც იქ ყველა გრძნობს; სი-ამოვნებთ ათობით ათას სხვა ადამიანთან ერთად დგომის განცდა. პროტესტი ორგანულად ფართოვდება: ხალხი პროფესიული ჯგუ-ფების, დარგებისა და ინტერესების ნიშნით მობილიზდება; საპრო-ტესტო აქციები იმართება სხვა ქალაქებში, დასახლებებში, დღის სხვადასხვა მონაკვეთში. იმავდროულად, ყველამ კარგად იცის, რომ პროტესტის გაგრძელებისა და ყველა პროფესიულ გავრცე-ლებისათვის, საყოველთაო გაფიცვა წინააღმდეგობის ყველაზე ეფექტური მშვიდობიანი გზა იქნება. საინფორმაციო ტექნოლოგიე-ბის სფეროს წარმომადგენლებმა უკვე უჩვენეს მაგალითი. თუმცა, მაგალითად, მშენებლებისათვის, იმის მიუხედავად, რომ ზოგი მათ-განი პროტესტის მონაწილეებს, სოლიდარობის ნიშნად, ხელს უქ-ნევს, გაფიცვა უფრო რთული იქნება, რადგან ქვეყანაში სოციალუ-რი უსაფრთხოების სისტემა არ არსებობს. თუმცა, ისინიც ვი, ვინც წლების მანძილზე გაფიცვის, როგორც პოლიტიკური აქტის, დაკნი-ნებასა და ინსტიტუციურად მოშლას ახდენდა, აღიარებენ თუ რამ-დენად რთულია გაფიცვის ორგანიზება ქვეყანაში არსებულ სა-მართლებრივ და ეკონომიკური პირობებში. ამ მრავალთავიან მოძ-რაობაში მემარცხენე ძალები ხაზს უსვამენ, რომ ვალეებში მათე-ლი საზოგადოება, რომელიც ყოველთვის ურად საბანკო კრედიტებს იხდის, გაფიცვას ვერ შეძლებს, ამიტომ გაისმის მონაწილეები კრე-დიტის გადავადებისა და გაფიცვის ფონდების შესაქმნელად.

ახალი არჩევნების ჩატარება პოლიტიკურად ნეიტრალური ადმი-ნისტრაციის მიერ, რეჟიმის მიერ უკანონოდ დაპატიმრებულთა გა-თავისუფლება და მოქალაქეებზე თავდასხმების დამკვეთთა და შემსრულებელთა დასჯა, – ამ მოთხოვნების გარდა, საპროტესტო მოძრაობა უფრო ფართო სისტემური ცვლილებების სურვილსაც განასახიერებს. ეს სურვილი გამოიხატება სოციალური სამართლი-ანობისა – რაც ევროპული კეთილდღეობის სახელმწიფოსთან ასო-ცირდება – და რეპრესიული სახელმწიფო აპარატის დემონტაჟი-საკენ მონაწილეებით. ჭარბვალიანობისნაირი გადაუდებელი პრობ-ლემების აქტიურად წინ წამოწევა განიხილება არა როგორც „ქარ-თული ოცნების“ ავტორიტარიზმზე დემოკრატიის გამარჯვების შემდგომ მისაღწევი შორეული მიზანი, არამედ როგორც სტრატეგი-ული, უახლოესი საჭიროება, რის გარეშეც წინააღმდეგობის მოძ-რაობა ვერ შენარჩუნდება და ვერ გაფართოვდება.

## „მაიდნის“ პარადიგმის მიღმა

პროტესტის მულტიმედიური და მულტიცენსორული ენა „ქართული ოცნების“ მხრიდან მის ნეიტრალიზებას ართულებს. პარტია ძალის-



ფოტოზე: მშენებლობაზე დასაქმებული საქართველოს დროშას აფრიალებს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ადამიანური რესურსების სფეროს წარმომადგენელთა საპროტესტო მარშის დროს, 13 დეკემბერი. გიორგი შველიძის ფოტო.

ხმევას არ იშურებს, რათა დემონსტრაციები არა სამოქალაქო ღირსების გულწრფელ გამოვლინებად, არამედ „მაიდნის“ მოწყობის მცდელობად და შიდა და გარე ძალების მიერ დესტაბილიზაციად წარმოაჩინოს. „მაიდნის“ პარადიგმა „ქართული ოცნების“ ომით დაშინების რიტორიკის ნაწილია, რითაც ის 1990-იანი წლების სამოქალაქო ომის ტრავმის გახსენებით, შიშის დათესვასა და, ამ გზით, შერყეული ძალაუფლების ლეგიტიმაციას ცდილობს. იმავდროულად, „ქართული ოცნება“ შეპყრობილია იდეით, რომ მას „უკრაინული სცენარი“ უპირებენ დამხობას. პარტია აქცენტს არა იანუკოვიჩის გაქცევაზე, არამედ იმაზე აკეთებს, რაც „მაიდნის“ მოჰყვა – რუსეთის უკრაინაში შეჭრაზე. მათ კარგად უწყიან, რომ ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემთხვევაში, ისინი არავის მოენატრება, ამიტომ „ქართული ოცნების“ პროპაგანდა „მაიდნის“ შემდგომ გეოპოლიტიკურ მოვლენებზე აპელირებს, რათა პროტესტის პარალიზება მოახდინოს და ხალხს ფარხმალი დააყრვეინოს. მშვიდობის სახელით, გეოპოლიტიკა დემოკრატიაზე უარის თქმისა და სახალხო პროტესტის ჩახშობის გასამართლებად გამოიყენება.

პროტესტი საკუთარი ლოგიკით ვითარდება, მთავრობა კი მას „მაიდნის“ საწინააღმდეგო ზომებით პასუხობს. მთავრობის მიერ კონტროლირებადი მედია ირწმუნება, რომ ოპოზიცია პროტესტის მშვიდობიან მონაწილეების „მსხვერპლად შეწირვას“ გეგმავს, რათა უკმაყოფილებამ ახალი ძალით იფეთქოს, რადგან პროტესტი უკვე ძალას კარგავს. იგონებენ სხვადასხვა ისტორიას ორგანიზებული კრიმინალის შესახებ, რომლებიც, სინამდვილეში, პოლიციის დაცვის

ქვეშ მოქმედებენ და ქუჩებს, რომლებიც ისედაც მტანჯველი საცობებითა და მოძველებული ინფრასტრუქტურით არის სავსე, ფიზიკურად საშიშ ადგილად აქცევენ. როცა საპასუხოდ მოხალისე ახალგაზრდა მამაკაცები დემონსტრანტთა დასაცავად ერთიანდებიან, პროპაგანდა მათ ულტრამემარჯვენე „ნაციისტებად“ მოიხსენიებს, რაც ძალიან ჰგავს „მაიდნის“ რიტორიკას. საჯარო სივრცეებში სახის ნიღბების აკრძალვამ უჩვენა, რომ „ქართული ოცნება“ იანუკოვიჩის მეთოდებს იმეორებს, რომელსაც ის 2013-14 წლების პროტესტების ჩასახშობად მიმართავდა, რომ აღარაფერი ვთქვათ კობახიძის განცხადებაზე ევროინტეგრაციის შეჩერების შესახებ, რაც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე იანუკოვიჩის უარს იმეორებს.

თბილისი და საქართველოს სხვა ქალაქები „პოსტიმართლის“ სივრცედ, მოგონილ „მაიდნად“ გადაიქცა. „ქართულ ოცნებას“ „მაიდნის“ შეთქმულების მოგონილი ამბის გარეშე ძალაუფლების კონსოლიდაციის უნარი არ შესწევს. თუმცა, საქართველოში მიმდინარე პროტესტი „მაიდნისაგან“ არსებითად განსხვავდება. პროტესტის მონაწილეებმა გაცილებით ფართო სივრცეები მოიკვეს და აქციებს თბილისის სხვადასხვა რაიონსა და მის გარეთაც მართავენ, რითაც ურბანულ სივრცეებსა და საჯარო დანესებულებებს კოლექტიური თანამონაწილეობის ადგილებად აქცევენ. მათ კარგად იციან, როგორ სურს „ქართულ ოცნებას“, რომ პროცესმა „მაიდნის“ სახე შეიძინოს, რათა მეტი თავდაჯერებულობით გაანეიტრალოს ის; ამიტომ, პროტესტის მონაწილეები სპონტანურად იგონებენ კონტრპრაქტი-



კას – დეცენტრალიზებული მიდგომით – რაც შეუძლებელს ხდის პროტესტის „ძალადობრივად“ ან „უმართავად“ მონათვლას და იდეოლოგიურადაც სცილდება „ნელოვანი ჯამის“ ამბოხად შერაცხვას, რაც ასე ძალიან სურს „ქართულ ოცნებას“. რაც უფრო მეტად ცდილობს „ქართული ოცნება“ პოლიტიკური პროცესების „მაიდან-ბაციით“ მიშისა და ქაოსის დათესვას, მით უფრო ემპათიურად ითხოვენ მომიტინგეები ფუნქციური სახელმწიფო ინსტიტუტების აღდგენას, საკონსტიტუციო ჩარჩოებში დაბრუნებასა და ახალ არჩევნებს, რათა კრიზისი მხოლოდ ინსტიტუციურად გადაიჭრას. კანონიერებაზე აქცენტი პირდაპირ ანეიტრალურებს „ქართული ოცნების“ ნარატივის მოსალოდნელ ანარქიაზე. ეს ხაზს უსვამს, რომ პროტესტის მონაწილეები სახელმწიფოს წინააღმდეგ კი არ გამოდიან, არამედ დემოკრატიული პრინციპების დასაცავად იბრძვიან – კოლექტიურად ითხოვენ ისეთ მთავრობას, რომელიც ხალხს ემსახურება და არა კორუმპირებულ პოლიტიკურ ინტერესებს.

## ერთიანობა დაყოფის პირისპირ

„დაყავი და იბატონე“ საზოგადოების კონტროლის კლასიკური პოლიტიკური სტრატეგიაა. „ქართული ოცნება“ ხშირად მიმართავს ამ სტრატეგიას. „უკრაინული სცენარის“ კონტექსტში ხელისუფლება „ორი უკრაინის“ პარადიგმით მოქმედებს. რეგიონულ და ლინგვისტურ კუთვნილებაზე აპელირების ნაცვლად, როგორც ეს უკრაინის შემთხვევაშია, ქართულ პროპაგანდისტულ ვერსიაში ერთი მხარე „პროდასავლური“, „ანტიქართული“, „ცისფერი“, ლიბერალი ან „ლიბერალური ფაშისტია“, მეორე კი – „პროქართული“, სუვერენიტეტის დამცველი, ტრადიციონალისტი, გეოპოლიტიკური ნეიტრალიტეტისა და/ან დასავლეთის ნაცვლად ჩინეთზე ორიენტაციის მომხრე ან ღიად რუსეთის მხარდამჭერი. საარჩევნო შედეგის 54-პროცენტთან ფაბრიკაცია რიცხობრივი უპირატესობის ჩვენებას ემსახურება, რამაც „ქართულ ოცნებას“ „სახალხო მანდატი“ უნდა მიანიჭოს. სხვადასხვა გამოკითხვის თანახმად, მმართველ პარტიას ამ არჩევნებამდე მსგავსი მხარდაჭერა არასოდეს ჰქონია. ამიტომ, მმართველი გუნდი იძულებული იყო, კამპანია შემდეგი ლოზუნგით ეწარმოებინა: „მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით – ვერო-პისკენ“, რადგან იცოდა, რომ ყველა გამოკითხვის თანახმად, ქართველების უმრავლესობა – ყველა პოლიტიკური სპექტრიდან – ევროკავშირში ინტეგრაციას უჭერდა მხარს. მხარდამჭერთა რიცხვის ხელოვნურად გაზრდა ავტორიტარიზმის ლეგიტიმაციას ისახავდა მიზნად დემოკრატიის, როგორც „უმრავლესობის დიქტატის“, პარადიგმის გამოყენებით.

უფრო საინტერესოა პოლიტიკური მობილიზაციის ფორმების, პრაქტიკისა და ხარისხის განხილვა, რასაც ეს „ორი საქართველო“ განასახიერებს. მიმდინარე მასობრივი პროტესტი წინააღმდეგობის ფიზიკური გამოვლინება, სივრცეში მყოფების მანიფესტაცია და სოლიდარობის მოძრაობაა. სხვადასხვა პროფესიის, სამეზობლოს, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები, მიგრანტები და მშობლები – რომლებიც ავტორიტარული, ძალადობრივი და ოლიგარქიული რეჟიმის წინააღმდეგ დეცენტრალიზებულ წინააღმდეგობას წარმოადგენენ – თვითმობილიზაციის წარმოუდგენელ უნარს ავლენენ. საჯარო სივრცეების დაკავებით, პროტესტის მონაწილეთა სხეულები – კოლექტიური ძალისა და ქმედების ინსტრუმენტად, სივრცეები კი ბრძოლისა და ერთიანობის ასპარეზად იქცევა, რომელიც ცხოვრების ყოველდღიურ რიტმს არღვევს. ეს პოლიტიკური სხეული მკვეთრად განსხვავდება იმ, ვითომ-და, „უმრავლესობისაგან“, რომელიც არ მონაწილეობს ან ეწინააღმდეგება ან-

ტისამთავრობო პროტესტებს. მათ შორის საზოგადოების ყველაზე გადატავებული სეგმენტაცაა, რომელთა გაჭირვებასაც „ქართული ოცნება“ სისტემატურად ვვლავ აწარმოებს, რათა მათი ლოიალობა შეინარჩუნოს. ამჟამად, „ანტიმაინის“ განწყობებით გამორჩეული „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, ძირითადად, ციფრული კონსტრუქტის სახით არსებობენ; საზოგადოება-მოჩვენების, რომელიც სოციალური მედიის სხვადასხვა ჯგუფებში იყრის თავს.

ეს კონტრსხეული, რომელიც ფიზიკურობას მოკლებულია, ძირითადად ვირტუალურ სივრცეში აქტიურობს და ამართლებს სახელმწიფოს რეპრესიებსა და ძალადობას „ექსტრემისტების“, „უცხო ქვეყნის აგენტებისა“ და „სატანისტების“ მიმართ. ფიზიკური განზომილების არქონა გასაკვირი არც არის, თუკი გავითვალისწინებთ, რომ სწორედ „მშვიდობის ანტიპოლიტიკის“ მიმდინარე დემობილიზაციაა, რომლითაც „ქართულ ოცნებას“ მოსახლეობის დაშანტაჟება და დამორჩილება სურს. ეს ანტიპოლიტიკა კიდევ უფრო აშკარაა იმის ფონზე, თუ როგორი სასონარკვეთით ელის „ქართული ოცნება“ დონალდ ტრამპის თეთრ სახლში დაბრუნებას. იმის უსაფუძვლო მოლოდინით, რომ ტრამპი შეცვლის აშშ-ის ადმინისტრაციის პოლიტიკას, რომელმაც „ქართული ოცნების“ ქმედებები დაგმო, აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა შეაჩერა და ქართველ ოფიციალურ პირებს სანქციები დაუნესა, იმედი აქვთ, რომ ულტრამემარჯვენე ძალების გაძლიერების ფონზე, დასავლეთი საბოლოოდ მიიღებს „ქართულ ოცნებას“ ისეთს, როგორც არის – ფაშისტურს, ავტორიტარულსა და თაღლითს. ბედის ირონიაა, რომ ხელისუფლების ამდენ ღალადში, დასავლეთზე ამდენი ათწლეულის დამოკიდებულების მერე ქვეყნის სუვერენიტეტს ვიცავთ, „ტრამპის მოლოდინი“ და ჯადოსნური „20 იანვარი“ მორიგად ცხადყოფს, როგორ ყლაპავს გეოპოლიტიკა პოლიტიკას. „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებს და მმართველ პარტიასა და პროტესტის მონაწილეთა შორის რეალურ განსხვავებას წარმოაჩენს.

ქუჩებში დგომისა და მარშირების პარალელურად, პროტესტის მონაწილეები ფიქრობენ, როგორ გააერთიანონ ერი „ქართული ოცნების“ მიერ ხელოვნურად შექმნილი პოლარიზაციისა და სამოქალაქო ომის მსგავს გარემოში. როგორ შეიძლება თანაარსებობა პოლარიზაციის პირობებში? დღეს თბილისის ქუჩებში პოლიტიკურ პროტესტსა და ღრმა ადამიანური კავშირის აქტს ვხედავთ. ძალადობისა და რეპრესიების საფრთხის მიუხედავად, ხალხი ყოველდღიურად იკრიბება. ისინი მხარდამხარ დგანან რეპრესიული რეჟიმის მხრიდან მოსალოდნელი ფიზიკური ძალადობისა ან ფსიქოლოგიური ტერორის პირისპირ. ამ კოლექტიური წინააღმდეგობის მომენტებში, ნათლად იგრძნობა „ჩვენ-ისინი“ ლოგიკის უარყოფა, რომელიც საზოგადოების შეურიგებელ ბანაკებად გახლჩას ცდილობს.

საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის სპეციფიკამ, სადაც ყველა ყველას მეზობელი, ნათესავი ან ნაცნობია, „ქართული ოცნების“ დაყოფის პოლიტიკას ზღვარი დაუნესა. ბოლო დროს, მოქალაქეთა მიმართ სასტიკი ძალადობის ფონზე, პროტესტის ბევრი მხარდამჭერი ნაცნობ-მეგობრებს მიმართავს, რათა შერცხვეთ და სიჩუმის მორალურ შედეგებზე დაფიქრდნენ. სამთავრობო პროპაგანდამ ეს „ბულინგად“ და „ლიბერალური ფაშისტის“ გამოვლინებად მონათლა. ამგვარი რიტორიკა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს ერთგვარ მორალურ „ფარს“ სთავაზობს და საშუალებას აძლევს უარყონ ან თვალი დახუჭონ დემოკრატიის უკუსვლასა და თანამოქალაქეების მიმართ სასტიკ ანგარიშსწორებაზე. ისინი აცხადებენ, რომ „საკუთარი აზრის“ ქონის უფლება აქვთ, თუმცა იმას ვერ





პროტესტი რუსთაველის გამზირზე.  
2024 წლის ოქტომბერი.  
გიორგი შველიძის ფოტო.

აცნობიერებენ, რომ ამით ლიბერალურ ღირებულებებზე აპელირებენ, რომელთაც სხვა დროს ასე განაქიქებენ და უარყოფენ. პროტესტის მონაწილეები აცხადებენ, რომ დაუშვებელია, შიშისა და სიძულვილის ტირაჟირებით, „გახლეჩილი ერის“ ვირტუალური რეალობის შექმნას სზოგადოებაში არსებული კავშირები დააზიანებინონ. ის ხალხი, ვისაც ხელისუფლება უსამშობლო „ლიბერალებად“, პატრიოტიზმისა და მორალისაგან დაცლილ არსებებად აცხადებს, ცდილობს, ამ მორალურ რელატივიზმს შეენიანაღმდეგოს. ისინი მოქალაქეებთან მსჯელობას, მათ დარწმუნებასა და კავშირის აღდგენას ცდილობენ, რათა, ვითომ-და, გახლეჩილი ერის ხელოვნურად შექმნილი ნარატივი გაანეიტრალონ. საქართველოს ამჟამინდელი პროტესტი მხოლოდ ავტორიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას არ განასახიერებს; მისი მიზანი გახლეჩილი ერის გამთლიანება და სამართლიანობისა და სოლიდარობის საყოველთაო განცდის აღდგენაც არის.

**თამთა ხალვაში** ანთროპოლოგიის პროფესორი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი. მისი კვლევის ინტერესები მოიცავს ექსპერიმენტულ ანთროპოლოგიასა და ეფექტის თეორიას, პოსტსოციალისტური ურბანული ტრანსფორმაციის პერიფერიულ ისტორიასა და მარგინალურ სოციალურ იდენტობებს. ის გახლავთ ავტორი წიგნისა „წარმავლობის ზღვა: შავი ზღვის სანაპიროს პოლიტიკა, პოეტიკა და ესთეტიკა“ (A Sea of Transience: Politics, Poetics and Aesthetics on the Black Sea Coast), მარტინ დემანტ ფრედერიკსენთან ერთად (with Martin Demant Frederiksen).

**ლუკა ნახუცრიშვილი** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში კრიტიკულ თეორიას ასწავლის. ასევე არის იმავე უნივერსიტეტის სოციალური და კულტურული კვლევის ინსტიტუტის მკვლევარი და პროექტის კოორდინატორი. ლუკა მუშაობს კულტურულ და ლიტერატურულ კვლევებზე, ასევე ისტორიაში, ანთროპოლოგიასა და პოლიტიკურ თეორიაში. ლუკა იკვლევს მოდერნულობას, სახალხო პროტესტისა და რევოლუციურ კულტურას საქართველოსა და კავკასიაში.



# INDIGO Historical Discourse



**IN THE NAME OF PEACE: GEORGIA'S  
POSTELECTION CRISIS AND  
CURRENT MASS PROTESTS**



# ART & PROTEST

Director: Anna Dziapshipa  
Multimedia Platform: Chai Khana



გავიშე, სოფო ნიკლაურის ვიდეო, 2019



გურამ ნიბახაშვილი, ოლეგ ტიმჩენკოს ნახატი დეზერტირების ბაზანში, 1994

What does Georgian artistic protest or activism mean, and how does it resonate with our turbulent recent history? In Chai Khana's 2020 publication "Art and Activism," director Anna Dziapshipa created the film "Art and Protest." This film is an attempt to highlight some of the participants in this process and, through interviews, approach the topic from various angles. Four respondents discuss artistic protest from historical, cultural, documentary, and artistic perspectives, providing examples and posing thought-provoking questions alongside answers.

Film Link:

[Art and Protest](#)

## About Chai Khana

Chai Khana is a multimedia platform that tells stories visually. We share narratives from the South Caucasus region: Azerbaijan, Georgia, and Armenia.






# INDIGO

The magazine Indigo actively covers ongoing protests in various forms. In 2018 and 2023, Indigo prepared special editions on the theme **“PROTEST AND RESISTANCE IN GEORGIA”** authored by **TAMAR BABUADZE** and **NINO LOMADZE**.




INDIGO  
“დავით აღმაშენებლის ხელისუფლების დროს”



INDIGO  
“საქართველოს დემოკრატიული რევოლუციის 100-ე წლისთავის მიზანმიმართული აქტივისტების მიერ”



INDIGO  
“ჩვენი პრეტენზიები ჩვენი პრეტენზიები?”



INDIGO  
“დავით აღმაშენებლის ხელისუფლების დროს”



A quote from the foreword of the 2023 issue of Indigo:



**What halts protest and resistance?**  
Following the 2018 edition, which compiled the experiences of the past decade of protests, Indigo now revisits this pivotal question to reflect on thirty years of resistance and protest:  
**When does momentum dissipate?**  
**When does the process fade – or does it ever truly disappear?”**

THIS ARTICLE WAS ORIGINALLY PUBLISHED ON E FLUX NOTES ON DECEMBER 13, 2024

# IN THE NAME OF PEACE: GEORGIA'S POSTELECTION CRISIS AND CURRENT MASS PROTESTS

**e-flux notes**



**TAMTA KHALVASHI  
AND  
LUKA NAKHUTSRISHVILI**



# “REVOLT, SHE SAID!”

## „ამბოხი თქვა მან!“ ამბოხის თეორიული საფუძვლები და სახელოვნებო პარალელები

მარიამ შერგელაშვილი

კაცობრიობის ისტორია წინააღმდეგობრივი გრძელი ჯაჭვია - ადამიანთა შეუგუებლობა მთელ რიგ მოვლენებსა და სისტემებზე. ამბოხი, როგორც რეზისტენტული წინააღმდეგობა, რეაგირება და კრიტიკული ქმედითი მდგომარეობა ამა თუ იმ მოვლენაზე მრავალმხრივად შეიძლება გაანალიზდეს. 21-ე საუკუნის ტრანზიტული კრიზისებით სავსე ტექნოლოგიური ეპოქაც მიზეზმდეგობრივად ირეკლავს მრავალათასწლოვანი მედეგობის და ამბოხის ამბავს. მედეგობა და ამბოხი კი ორი ურთიერთდაკავშირებული ცნებებია, რომლებსაც ავლენდა და ანალიზებდა ადამიანის გონი, არსებობა და ნება.

ამ სამი მსაზღვრელის გათვალისწინებით (გონი, არსებობა და ნება) ვცვდებით ამბოხის რამდენიმე თეორიული ასპექტი გამოვყოთ და შემდგომ გავაანალიზოთ ცალკეული სახელოვნებო აქტები საქართველოში მიმდინარე კრიტიკულ საპროტესტო ტალღასთან კავშირში.

ამბოხის თეორიულ კონტექსტს წინააღმდეგობის სამი მნიშვნელოვანი განზომილებიდან განვიხილავთ: ეგზისტენციალური, ფსიქო-სოციალური და ინფორმაციულ-იდეოლოგიური. ამბოხის ეგზისტენციალურ განზომილებაზე საუბრისას გავიხსენებ მე-20 საუკუნის უმნიშვნელოვანეს ეგზისტენციალისტ ავტორს, ალბერ კამიუს. კამიუ თავის ცენტრალურად მნიშვნელოვან ნაწარმოებში “ამბოხებული ადამიანი” ანალიზებს აბსურდის, დანაშაულის და წინააღმდეგობის პრინციპებს და ისტორიულ მოცემულობათა დაკვირვებით ავითარებს ამბოხის ეგზისტენციალურ განზომილებას. კამიუსეული მეამბოხე ესაა ადამიანი რომელიც ამბოხს არა! და ეს არა მისი არსებობის განმსაზღვრელი პრინციპულობაა, წინააღმდეგობაა. როგორც კამიუ აღნიშნავს:



ამბოხის დროს ხდება ცნობიერების გაღვიძება, რარიც დაბინდულიც უნდა იყოს ის. უეცარი აღქმა იმისა რომ ადამიანში არის რაღაც ისეთი, რასთან თავის გაიგივებაც მას შეუძლია, თუნდაც დროებით.

გაიგივებისა და გათვითცნობიერების ვრცელი ანალიზით წინააღმდეგობის თეორიას, ამბოხს – მონობისა თუ ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ კამიუ ავითარებს ეგზისტენციალური ხედვით. ეს ხედვა კი ეფუძნება ერთგვარ ჯანონომიერებას, სადაც თავისუფლება გაანალიზებულია სამართლიანობასთან კავშირში. ესაა ის მიმართება, რაც ადამიანის სიცოცხლისკენ სწრაფვას განაპირობებს. ამდენად კამიუსეული ამბოხი არადესტრუქციული, არამედ პრინციპული, არსობრივი წინააღმდეგობაა. კამიუ წარმოაჩენს ადამიანობის შეურიგებლობას – არ დაემორჩილოს და თავისსავე ამბოხში დარჩეს სამართლიანი – შესაბამისად ქმედითი, ფუნქციური.

ამბოხის ღრმა ფსიქო-ემოციური ანალიზის საგულისხმო გაგებას გვთავაზობს იულია კრისტევა ვრცელ ინტერვიუზე დაფუძნებულ ესეისტურ ტექსტში “ამბოხი, თქვა მან”. ეს ამოთქმა, ამბოხება, ამონათება და გარდაქმნა ის მომენტი, რაც ცვლილების აუცი-

ლებლობითაა განპირობებული. კრისტევას განმარტებით ამბოხი შინაგანი მდგომარეობაა, ციკლორობის და გარდაქმნის ტალღა. ეს ტალღაა ფსიქოსოციალური შრე, რომელიც აჯანყების არა ფაქტობრივ მიზეზ-შედეგობრიობას, არამედ მის პროცესუალურ, უწყვეტ ხასიათს გამოკვეთს. კრისტევას დაკვირვება კრიტიკულია სწრაფად ცვალებადი სამომხარებლო საზოგადოების მიმართ. ავტორი კრიტიკულია იმ ბრტყელ გამოცდილებებზე, სადაც წარსულის რომანტიზირება ღრმა თვითრეფლექსიას უპირისპირდება. ამბოხის ფსიქოემოციური საწყისი კი რეფლექსირებას ეფუძნება, თვითრეფლექსიური მდგომარეობა შეუქცევად დაკვირვებასა და მუდმივად ფიზიკურ მახსოვრობას გულისხმობს. ამავე ინტერვიუში ავტორი საუბრობს 1968 წლის მაისის საპროტესტო მოვლენებზე. ის აკრიტიკებს 1968 წლის გაიდულებას და რომანტიზებას. კრისტევასთვის, ნამდვილი რევოლუცია კონკრეტული დროით არ არის შეზღუდული; ეს არის განახლებისა და ტრანსფორმაციის უწყვეტი გზა, როგორც ცალკეული ინდივიდის, ასევე ფართო საზოგადოებისათვის. 1968 წლის მოვლენები, მიუხედავად მათი მნიშვნელობისა, იყო არასრული რღვევა – საწყისი წერტილი, რომელმაც გამოკვეთა ადამიანის სუბიექტურობის, ენის ძალისა და საზოგადოებრივი სტრუქტურების ხელახალი გააზრების საჭიროება.


ისევე როგორც კამიუსთან, კრისტევასეულ ანალიზშიც ამბოხის ფსიქოემოციურ შრეში გამოვლენილია ეგზისტენციალური დამოკიდებულება, რომელიც მუდმივად ეჭვქვეშ აყენებს ნორმებს, არღვევს თვითკმარ მოცემულობებს, ახალ შესაძლებლობებს ეძებს აზრისა და თავისუფლების მისაღწევად.

დღევანდელ ტექნოლოგიურ ეპოქაში ყოველგვარი შესაძლებლობა, მათ შორის ყოველდღიურობის კრიტიკა და ამბოხიც კი ციფრულ, ინფორმაციულ და ვირტუალურ რეალობებთანაა თანაკვეთილი. **“მედიუმი არის მესიჭი”** - მარშალ მაკლუანის ეს რევოლუციური ფრაზა ერთგვარ განმსაზღვრელ შეფასებად აქცია 21-ე საუკუნის ტექნოლოგიურმა პროგრესმა. მაკლუანის წინასწარმეტყველური გაანა-

ლიზება მე-20 საუკუნის აზროვნებაში გარდამტეხ საკითხს – ინფორმაციასა და ინფორმაციული ნაკადის მნიშვნელობას შეეხო. სწორედ მისი ხედვით, ამბოხია სისტემური წყობის მიმართ წინააღმდეგობა. ამ ხედვის კრიტიკული სათავე კი არის ინფორმაციული მანიპულაცია და მის ტყვეობაში ყოფნა. მაკლუანი ხაზს უსვამს, რომ მედია მოქმედებს როგორც გარემო, რომელიც ფორმირებას უკეთებს ცნობიერებას და ინვესტს როგორც სოციალურ, ისე კულტურულ რევოლუციებს. მაკლუანის გაგებით, აჯანყება მჭიდროდ არის დაკავშირებული ტექნოლოგიურ ცვლილებებთან, რომლებიც გამოწვევას უქმნის და ხელახლა აყალიბებს ადამიანთა ურთიერთობებს.

ერთი შეხედვითაც თვალსაჩინოა, რომ ამბოხის ამ სამ სხვადასხვა ავტორთან გამოვლენილი მახასიათებლები არა განცალკევებული, არამედ თანაკვეთილი და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია. ვფიქრობ, თავად ჩვენი დღევანდელი რეალობა - საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივი პროტესტია ამის დასტური. საზოგადოებრივი წინააღმდეგობა უპირისპირდება ერთპიროვნულ მოძალადე სისტემას და პროვეროპული ღირებულებების, პროგრესული მომავლის დაცვისკენაა მიმართული.

დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გზაზე საქართველომ არაერთი ისტორიული ქართველი გაიარა, მაგრამ უპრეცედენტო მოვლენა, როდესაც ყოველგვარი პოლიტიკური ლიდერის გარეშე საზოგადოებრივი ამბოხი ასეთ მასშტაბში თვითორგანიზებული ხედვით ვითარდება. საგულისხმოა ამ ფონზე როგორ ან რა წინაპირობებით აისახება ეს პროცესები ხელოვნებაში? რასაკვირველია, მიმდინარე მოვლენების ფონზე დისტანცირებული ანალიზი შეუძლებელია, რადგანაც ახლაც პროტესტისა და წინააღმდეგობის აქტიურ ფაზაში ვართ. უახლოეს მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც გაყალბებული არჩევნების ფონზე ნოემბრის ბოლოს გამოაფრდა და უწყვეტი პროტესტის რეჟიმში მიმდინარეობს დღემდე, უნდა აღინიშნოს რომ ეს უცაბედად დაწყებული მდგომარეობა როდია?! როგორც ამბოხის







